სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სიმონ გიგაური

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის ასახვა უცხოურ მედიაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე
საქართველოს ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი

პროფესორი ოთარ ჯანელიძე

გორი 2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კვლევას, როგორი ჰპოვა ასახვა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმა უცხოურ მედიაში.

ტექსტში განხილულია ამერიკული ინგლისურენოვანი ჟურნალ-გაზეთები, სატლევიზიო და რადიო გადაცემები, ფრანგული და გერმანული პრესა, ასევე რუსული, გერმანული და თურქული მედიასაშუალებები. მათი მრავალფეროვნება კი საკითხის სიღრმისეულად შესწავლის საშუალებას გვაძლევს.

არსებობს ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები და მტკიცებულებები ომის დაწყებისა და მისი მიმდინარეობის, ასევე შედეგბის შესახებ. ვინ დაიწყო ომი? რატომ დაიწყო? როგორ მიმდინარეობდა? რით დამთავრდა? ამ კითხევბსზე პასუხები თითოეულ მედიასაშუალებას თავის არგუმენტებით აქვს დასაბუთებული.

ნაშრომის არქიტექტონიკა საკველი მასალის სპეციფიკამ განაპირობა და ასეთი სახით ჩამოყალიბდა: პირველ პარაგრაფში „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შეფასებისათვის“ - განხილულია ქართველი და უცხოელი ავტორების შეხედულებანი, ასევე, 2008 წლის საქართველო-რუსეთის საომარი კონფლიქტის ფაქტების შემსწავლელ საერთაშორისო დამოუკიდებელი კომისიის დასკვნა (ტალიავინი ანგარიში) ხსენებულ ომზე.

მეორე პარაგრაფი „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი უცხოურ ბეჭდვით მედიაში“ წარმოაჩენს როგორ გააშუქეს ფართოდ ცნობილმა ბეჭდურმა გამოცემებმა (Reuter, Zeit, Hintegrund, Welt, Lexpess, Liberation fr) ომის მიმდინარეობა და პერიპეტიები.

მესამე პარაგრაფში „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი უცხოურ ტელემედიაში“ მიმოხილულია ავტორიტეტული სატელევიზიო არხების (CNN, Voice of America, Euronius, Reuter, Deutchland funck Radio Free Europe), მიერ ხსენებული ომისადმი მიძღვნილი ტელესიუჟეტები, პირდაპირი ჩართვები და სხვ.

მეოთხე პარაგრაფში - „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის უცხოური ინტერნეტრესურსები“ - მოძიებულია რამდენიმე ვებგვერდი (Less Cahiersdelorient, Tuksam, Южная Осетия сегодня), რომლებზეც მათი ადმინები, ცალკეული ბლოგერები თუ ჟურნალისტები ეხმაურებიან განსახილველ საკითხს და მეტ-ნაკლები სისრულით თავმოყრილი აქვთ მასთან დაკავშირებული ინფორმაციები.

ნაშრომი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ეს საკითხი აქამდე არაა დეტალურად შესწავლილი და გამოკვლეული, ამიტომ ამ კუთხით იგი სიახლეა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამას ისიც განაპირობებს რომ ზემოთ აღნიშნული ომი ახლო წარსულში მოხდა (11 წლის წინ). ბევრისთვის უცნობია ის ფაქტიც, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებაში უცხოური მედიის ერთი ნაწილი საქართველოს ადანაშაულებს და არა რუსეთს. უმეტეს მათგანს ომი განხილული აქვს ევროკავშირის კომისიის კვლევის მიხედვით, რომელსაც ჰეიდი ტალიავინი ხელმძღვანელობდა. ტალიავინი კი, როგორც ქვემოთ გამოჩნდება მოერიდა „დიდი რუსეთის„ გაღიზიანებას.

სამაგისტრო ნაშრომს თან ერთვის დასკვნა და ბიბლიოგრაფია.

Annotation

Previous work is research about feedback of Georgian-Russian war of 2008 according foreign media sources. It's discuss Americanand English newspapers and magazines, TV and radio broadcasts, French and German press, also Russian and Turkish media sources. Variety of them gives us an oppurtunity to study more deeply and basically.

There are many different opinions and viewpointsabout beginning and progressions of war, also it's results. Who started war? Why it started? How it was processing? What was the results? Each media sources has their strong and proven arguments to answer these questions.

Structure of this study material includes next topics:in thepart one ,,analyzing Georgian-Russian war of 2008",is discussed opinions of Georgian and foriegn autors. Also, conclusion of Independent International Fact-Finding Mission on the conflict in Georgia (Tagliavini report).

The second paragraph ,,Georgian-Russian war of 2008 in foreign printed media", presents views of popular printed publications like: Reuter, zeit, Hintegrund, Welt, Lexpess, Liberation fr.

The third paragraph ,,Georgian-Russian war of 2008 in TV media world"describesreporting and live broadcasts of war news by theauthoritative TV channels (CNN, Voice of America, Euro-news, Reuter, Deutchlandfunck Radio Free Europe).

The Fourth paragraph ,,Georgian-Russian war of 2008 by the internet resources" shows several web pages, for example:Less Cahiersdelorient, Tuksam, ЮжнаяОсетиясегодня. Admins, bloggers and journalists have discussion about war issues and accumulate information relating it.

One of reason why this work is important is that this issue isnot researched before, so it's a new word in Georgian historiography.Besides, this war is part of the history of the 21th century's Georgia, it's a near past (11 years ago) and this wound is still painful.It's not known fact for everyone, that some countries consider Georgia as an initiator of war. They discuss about war according Tagliavini report we mentioned above and HeidiTagliavini didn't want to make ,,Great Russia'' angary, as we'll see below.

შინაარსი

1. შესავალი.....5
2. CNN.....8
3. ამერიკის ხმა.....12
4. ICC საეთაშორისო სასამართლო.....14
5. ალექს ლუჰნი.....17
6. სამხრეთ ოსეთი დღეს.....18
7. ევრონიუსი..... 21
8. როიტერი.....25
9. ICCEES ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საერთასორისო

   კვლევების საბჭო.....26

10. ევროპის რადიო.....39
11. Less Cahiersdelorient…….....42
12. Deuchland Funk…….....…43
13. Zeit…….....48
14. Hintergrund…….....49
15. Turksam…….....….52
16. Lexpress…….....…57
17. დასკვნა.....65
18. გამოყენებული ლიტერატურა.....70

შესავალი

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის მიზეზები ისტორიულ სიღრმეში უნდა ვეძებოთ. ჯერ კიდევ 1921 წლიდან, როდესაც ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველო დაყო პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებად, შეიქმნა აფხაზეთის, აჭარისა და ე.წ. სამრეთ ოსეთის ავტონომია. როგორც მართებულადაა აღნიშნული ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ხსენებული ავტონომიები წამოადგენდნენ „საქართველოს სხეულში ჩადებულ ნელი მოქმედების ნაღმებს“, რომელებიც დროთა განმავლობაში უნდა ამოქმედებულიყო. 1991 წლისთვის როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, რუსეთის ფედერაციამ ეს ნაღმები საჭიროებისამებრ აამოქმედა და პოლიტიკური კონფლიქტი ეთნო-კონფლიქტად შენიღბა. რუსეთის პოლიტიკა დამყარებული იყო ,,დაყავი და იბატონე“-ს პრიციპზე. კრემლი ცდილობდა ავტონომიურ ერთეულებში ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირებას, რაც ხელს უწყობდა და ახალისებდა როგორც აღნიშნული ერთეულების წინააღმდეგობას, ისე მათ სწრაფვას საქართველოს სახელმწიფოდან გამოყოფისკენ.

1990-იანი წლებიდან კიდევ უფრო გამწვავდა ურთიერთობა რუსეთ-საქართველოს შორის. რუსეთის ძალისხმევით დაიწყო ცხინვალისა და აფხაზეთის კონფლიქტები, რომელსაც ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის სახე მიეცა. აღნიშნულს რამდენადმე ხელი შეუწყო იმ დროინდელი მთავრობის ხისტმა პოლიტიკამაც პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას[1] ხელმძღვანელობით. საჭირო იყო უფრო მეტი დიპლომატიური მიდგომა საკითხის გადასაჭრელად. 1990 წელს უზენაესმა საბჭომ[2] ზვიად გამსახურდიას თავმჯდომარეობით გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა „სამხრეთ ოსეთის

---

[1] **ზვიად გამსახურდია** (დ. 31 მარტი, 1939, თბილისი - გ. 31 დეკემბერი, 1993,) - მეცნიერი-ფილოლოგი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, დისიდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (1973-1990) ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი (1991-1992), საქართველოს ეროვნული გმირი.

[2] **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო** - საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო 1990 -1992 წლებში; 1992 წლის იანვარში, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, დაიშალა სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით.

დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნას. საპასუხოდ, ოსმა სეპარატისტებმა 1990 წლის 9 დეკემბერს მაინც ჩაატარეს „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.“ იმის მიუხედავად, რომ ოსი სეპარატისტების ქმედებები უკანონო იყო, სქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებას შეეძლო უფრო მეტი დიპლომატიით მისდგომოდა საკითხს. საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს ე.წ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ მიიღო კანონი, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა შექმნილი მგომარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევამდე, კონფლიქტი ცხივალის რეგიონში რამდენადმე გაამწვავა ქართული რადიკალური ძალების საპროტესტო აქციებმა, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის ცხინვალის რეგიონში მოქმედი ორგანიზაციის „ადამონ ნიხასის“ სეპარატისტული ქმედებების საწინააღმდეგოდ ეწყობოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს აქციები ოს სეპარატისტთა ანტიქართულ გამოვლინებზე საპასუხო რეაქცია იყო, დღვანდელი გადასახედიდან, ალბათ, აჯობებდა მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა. ამგვარ ვითარებაში ქართული ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოშორდა ეროვნული მოძრაობის ლიდერებს. ქართული ინტელიგენცია ჩამოშორდა აქტივისტებს, რადგან მათ მშვიდობიანად სურდათ პრობლემის მოგვარება, დიპლომატიური გზებით. კონფლიქტის გამწვავებას ხელს უწყობდა საკავშირო პრესა და ტელევიზია, რომლებიც საქართველოში მცხოვრებ ოსებს დაჩაგრულ ერად აცხადებდნენ.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, 1991 წლიდან იწყება შეიარაღებული კონფლიქტი ე.წ. სამხრეთ-ოსეთთან. ერთი შეხედვით, ჩანდა, რომ ეს იყო დაპირისპირება საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიას შორის, თუმცა ოსების უკან რუსეთი იდგა, რაც მეტად აღრმავებდა ესკალაციას. დაპირისპირება არ ჩამოუვარდებოდა პოსტ-საბჭოთა სივრცეში მიმდინარე სხვა კონფლიქტებს (მაგალითად, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი). საქართველოს მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე[3] ცდილობდა

[3] **ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე** (დ. 25 იანვარი, 1928, მამათი, დღევანდელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი - გ. 7 ივლისი, 2014, თბილისი) - ქართველი პოლიტიკოსი და სახელმწიფო

მდგომარეობის დარეგულირებას. 1992 წელს ის დაბა ყაზბეგში შეხვდა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ა. გალაზოვს, სადაც ხელი მოეწერა შეხვედრის ოქმს. ამ დოკუმენტის მთავარი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ხანგრძლივი სისხლისღვრის შემდეგ პირველად ხდება საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფალთა შეხვედრა. ოქმში ძირითადად ცეცხლის შეწყვეტისა და ოთხმხრივი სადამკვირვებლო ჯგუფების შექმნაზეა საუბარი.

რუსეთის ფედერაცია ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ უცხოური მედია-საშუალებებისთვის 90-იანი წლების დაპირისპირება ისე წარმოეჩინა, თითქოს საქართველო ახორციელებდა ეთნოწმენდას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, მაგრამ საქართველოს ევროპელი მეგობრები გაეროსა[4] და ევროკავშირის[5] სახით აქტიურად იყვნენ და არიან ჩართულნი კონფლიქტის დარეგულირებაში და რეალურად აფასებენ შექმნილ მდგომარეობას. მათ არაერთხელ გააკრიტიკეს რუსეთი სხვადასხვა მაღალი ტრიბუნიდან და სანქციებიც დაუწესეს. 1997 წლიდან ცხინვალში ფუნქციონირებდა ეუთოს[6] ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი. 2001 წლის დეკემბერში ბუქარესტში მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, საბოლოო დოკუმენტში ერთმნიშვნელოვნად დაფიქსირდა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული

მოღვაწე. 1985-1990 წლებში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1995-2003 წლებში საქართველოს პრეზიდენტი.

[4] **გაერთიანებული ერების ორგანიზაცია**, გაერო (United Nations Organization, UNO; შემოკლებით - United Nations, UN) - საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1945 წლის 26 ივნისს, როდესაც სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 50 სახელმწიფომ ხელი მოაწერა მის წესდებას.

[5] **ევროპის კავშირი** (ინგლ. **European Union**), შემოკლებით *ევროკავშირი* - ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანება, 1993 წლამდე ევროპული თანამეგობრობა) ერქვა. ორგანიზაციის წევრია ევროპის 28 სახელმწიფო, რომელთა საერთო ფართობი 4 324 782 კმ²-ია, მოსახლეობა - 508 191 116 კაცი.

[6] **ეუთო-OSCE -** (ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) - უსაფრთხოების რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის წევრია 55 სახელმწიფო. იგი შეიქმნა გაეროს წესდების VIII თავის შესაბამისად ევროპაში კონფლიქტების თავიდან აცილების, კრიზისის მართვისა და კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: შეიარაღების კონტროლი, გაეროს პრევენციული დიპლომატია, ნდობისა და უსაფრთხოების მიღწევის ზომები, ადამიანის უფლებები, არჩევნების მონიტორინგ, ეკონომიკური და გარემოს უსაფრთხოება.

მხარდაჭერა.[7] განსაკუთრებით აღსანიშნავია ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტრების 2005 წლის 5-6 დეკემრის სხდომა, რომელიც ქალაქ ლუბლიანაში გაიმართა. სხდომამ მიიღო სპეციალური განცხადება საქართველოზე, რომლის მიხედვითაც, ეუთოს სხვა ქვეყნებთან ერთად რუსეთმაც დაუჭირა მხარი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ეუთოსთან ერთად ევროკავშირი მზადყოფნას გამოხატავდა აუცილებლობის შემთხვევაში გამოეყო შესაბამისი სამხედრო კონტიგენტი, რომელშიც პოლიციელებიც იქნებოდნენ გაერთიანებულნი.

ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებას ცდილობდა საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი[8]. 2004 წლის 21 სექტემბრის გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიაზე სააკაშვილმა ჩამოაყალიბა ქართულ-ოსური კონფლიქტის ძირითადი პრინციპები და სამოქმედო გეგმა. ერთი წლის შემდეგ, 2005 წლის 21 იანვარს ქ. სტრასბურგში მიხეილ სააკაშვილმა მსოფლიო თანამეგობრობას ამცნო საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული სამშვიდობო ინიციატივის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა ხსენებული კონფლიქტის სრულმაშტაბიან დარეგულირებას. კერძოდ, კონსტიტუციური კანონის საფუძველზე ,,სამხრეთ-ოსეთს" ენიჭებოდა ფართო თვითმმართველობა და წარმოადგენდა ავტონომიური სტატუსის მქონე საქართველოს ტერიტორიულ ერთეულს.[9] თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო, სეპარატისტული ხელისუფლება ამ შეთავაზებას არ დათანხმდა.

ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა ხელახლა იფეთქა 2008 წლის აგვისტოში, რასაც რუსეთ-საქართველოს შორის ომი მოჰყვა. 2007 წლიდან ცხინვალის რეგიონში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სახის პროვოკაციებს, ტერორისტულ აქტებსა და შეიარაღებულ თავდასხმებს

---

[7] https://www.radiotavisupleba.ge/a/1517361.html

[8] **მიხეილ სააკაშვილი** (დ. 21 დეკემბერი, 1967, თბილისი) - ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს პრეზიდენტი 2004 წლის 25 იანვრიდან 2007 წლის 25 ნოემბრამდე და 2008 წლის 20 იანვრიდან – 2013 წლის 17 ნოემბრამდე. პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დამფუძნებელი, ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი წინამძღოლი. ყველაზე ახალგაზრდა სახელმწიფო მეთაური ევროპაში (პრეზიდენტის მოვალეობას შეუდგა 36 წლის ასაკში).

[9] https://www.radiotavisupleba.ge/a/1539454.html

ქართულ სოფლებსა და მოსახლეობაზე. ასევე დასტურდება ქართული საჰაერო სივრცის დარღვევა რუსული ავიაციის მიერ. მდგომარეობა განსაკუთრებით ივლის-აგვისტოში დაიძაბა, როდესაც ოსმა სეპარატისტებმა სხვადასხვა სახის იარაღიდან ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს ქართულ სოფლებს, მათ შორის იყენებდნენ უკანონოდ შემოყავნილ ტანკებს, ნაღმტყორცნებსა და ყუმბარმტყორცნებს. 7 აგვისტოს კი რუსეთის ფედერაციის 58-ე რეგულარული არმიის 150-მდე ჯავშანტრანსპორტიორმა რუსეთ-საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა და როკის გვირაბის გავლით ქალაქ ცხინვალისაკენ დაიძრა. კონფლიქტი გასცდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას და საქათველოს წინააღმდეგ დაიწყო ფართომასშტაბიანაი სამხდრო ოპერაცია, რომელმაც ფაქტობრივად მთელი საქართველო მოიცვა.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმა მისი დაწყებისთანავე მთელი მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ომი დაიწყო ოსი სეპარატისტების სამხედრო მოქმედებების შედეგად. ეს იყო რუსეთის მიერ კარგად დაგეგმილი პროვოკაცია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა და კულმინაციას 2008 წლის აგვისტოში მიაღწია. ოსი სეპატარისტების თავდასხმას ქართულ სოფლებზე მოქყვა საქართველოს ხელისუფლებიდან საპასუხო ქმედებები, რუსეთი კი ომში საკუთარი მოქალაქეების დაცვის საბაბით ჩაერთო, აღნიშნული რუსეთის გეგმის ნაწილს წარმოადგენდა, რაც წარმატებიტ განახორციელა კიდევაც. კონფლიქტი 5 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომელის დროსაც ორივე მხრიდან დაიღუპნენ როგორც სამხედროები ასევე მშვიდობიანაი მოსახლეობა. ასეულობით ადამიანი გახდა დევნილი და ასევე, დასტურდება ქრთველთა ეთნიკური წმენდის ნიშენბიც, რაც საერთაშორისო სახის დანაშაულია. 2008 წლის 12 ავისტოს ხელი მოეწერა ორ ქვეყანს შორის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის შუამავლობით.

„რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმა სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ძვრები გამოიწვია. საქართველოს სახელმწიფოებრივ

დამოუკიდებლობას სერიოზული საფრთხე შეექმნა. ეჭვქვეშ დადგა ქვეყნის საერთაშორისო სატრანზიტო ფუნქცია, მისი საიმედობა და უსაფრთხოება.“[10]

რუსეთმა საერთაშორისო ნორმების უგულვებელყოფით აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. მდგომარეობა დღესაც უცვლელია და საქართველოს 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

ომის მიმდინარეობა მედიასაშუალებებმა დედამიწის ყველა კუთხეში ასე თუ ისე გააშუქეს. ზოგიერთი მათგანის არქივში ვხვდებით ცნობებს, რომლებიც ომის დამთავრების შემდეგაც ქვეყნდებოდა და ეხებოდა ომის თემას. სამაგისტრო ნაშრომში მთელი ეს მოძიებული მასალა დაჯგუფდა და ქვემოთ ასეთი თანმიმდევრობით იქნება წარმოჩენილი: როგორ გაშუქდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი უცხოურ ბეჭდვით მედიაში, უცხოურ ტელემედიაში და უცხოურ ვებგვერდებზე.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ უცხოური ბეჭდვითი, ტელე და ინტერნეტ მედია საშუალებების უმეტესობას საკუთარი ჟურნალისტები ყვათ კონფლიქტის რეგიონში და ამიტომაც მათში წამოდგენილი მასალები პირველადია და ფასეულია სანდოობის კუთხთ. ანალიტიკური პუბლიკაციებით გამოირჩევა: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საეთაშორისო კვლევების საბჭო, ამერიკის ხმა, ევროპის რადიო და თურქული საინფორმაციე ცენტრი Trksam-ი. წარმოდგენილი მედია საშალებებიდან ომის მოვლენების გაშუქების სიხშირით გამოიჩევა CNN, რომლსაც ჰყავს ჟურნალისტთა ეკიპაჟი კონფლიქტის ზონაში და ომის დღეებში ხშრად ანხოციელებდენ პირდაპირ ჩართვებსაც. ომის მიმდინარეობისა და კონფლიქტის ზონაში ომისშემდგომი რეალობის საკითხებს ასევე აქტიურად აშუქებდა Reuter-ი.

[10] ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველორუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2013, გვ. 348.

პარაგრაფი I

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შეფასებისათვის

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ, ჩვენთვის საინტერესო კუთხით, საინტერესო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ნანა სუმბაძეს. მისის ნაშრომის სახელწოდებაა „საქართველო ომამდე და ომის შემდეგ“. ნაშრომი ეყრდნობა 2007-2008 წლებში ჩატერებულ გამოკითხვის შედეგებს ომამდე და ომის შემდგომ პერიოდში. ანგარიში მომზადებულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ.

ანგარიშის პრიორიტეტული საკითხებს შორის შეტანილია 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომი, ასევე სეპარატისტული რეგიონის რეინტეგრაციის შედაძლებლობები, საომარი მოქმედებების ტერიტორიაზე ცხოვრების ზეგავლენა მოსახლეობის დამოკიდებულებებსა და ღირებულებებზე და საქართველო აგვისტოს ომის შემდეგ.

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე ჩატარებულია გამოკითხვა საქართველოს მასშტაბით, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია კონფლიქტის ეპიცენტრებზე შიდა ქართლსა და იმერეთზე, ასევე ომის შედეგად დევნილ მოსახლეობაზე. გამოკითხულია მოსახლეობა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით და წარმოდგენილია 2007 წლის სტატისტიკა 2008 წლის სტატისტიკასთან შედარებით. (ომის შემდგომი პერიოდი). მოსახლეობის გამოკითხვა იყო ანონიმური. ძირითდ კითხვები ეხებოდა შემდეგ საკითხებს: ვინ არის დამნაშავე ომის დაწყებაში? შეიძლებოდა თუ არა მისი თავიდან აცილება და რა გზებით? არის თუ არა გარე ძალებზე დამოკიდებული ომის დაწყება და მისი შედეგები? ვინ გაიმარჯვა ომში? როგორი ნდობა ევროკავშირისა და ნატოსამი ?

აგვისტოს მოვლენებში გამოკითხულთა 95% ბრალს სდებს რუსეთს, 84.% სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას. 80.9% აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას და 80.2% - საქრთველოს ხელისუფლებას. გამოკითხულთა უდიდესი

ნაწილი 89.9% აღიარებს სხვადასხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წვლილს ომის შეწყვეტაში. ამ კუთხით კი უდიდეს როლს აშშ-ს ანიჭებენ. (68.3%) აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი, რომელიც უშუალოდ კონფლიქტის რეგიონებში ცოვრობს (შიდა ქართლი და იმერეთი), უფრო მეტად უცხადებს ნდობას ხელისუფლებას, ვიდრე ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა, ისინი ასევე ამართლებენ საომარი მოქმედებებისკენ გადადგუმლ ნაბიჯს და ამ ფაქტს აუცილებლობით ხსნიან. კონფლიქტით დაზარალებული მოსახლოეობა უდრო მეტად უჭერს მხარს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალისმიერი მეთოდებით დაბრუნებას, განსაკუთრებით კი 18 დან 24 წლამდე ახალგაზრდები. ომის შემდგომ გაიზარდა იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებისთვისაც საქართველოს სამომავლო წინსვლა და განვითარება დამოკიდებულია არამარტო საქართველოზე, არამედ სხვა ქვეყნებზეც, ე.ი გარეშე ძალებზეც. ასევე შემცირდა ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანების მსურველთა რაოდენობაც.[11]

ომმა დიდი ზეგავლენა მოახდინა მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, უმუშევრობაზე, შემცირდა რელიგიური ტოლერანტობა. 2008 წელს მხოლოდ 11.7% მიიჩნევდა, რომ ქვეყანაში მხოლოდ მართლმადიდებლობას ენიჭებოდა უპირატესობა სხვა რელიგიებთან შედარებით. ომის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა მშვიდობის აღქმა და ღირებულება. დიდი მნიშვნელობა შეიძინა ბავშვებისთვის მიმტევებლობის და მიზანდასახულობის გათავისებამ.

ომმა დიდი გავლენა მოახდინა მთლიანად საქართველოზე, უფრო მეტად კი კონფლიქტის რეგიონებზე. უსაფრთხოების განცდა მაღალი იყო საომარი მოქმედებების ზონაში მცხოვრებ მოსახლეობაში.

საომარი მოქმედებების არეალსა და კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი უჭერს მხარს ნატოში გაწევრიანებას. გამოკითხულთაგან

[11] ნანა სუმბაძე, საქართველო აგვისტოს ომამდე და ომის შემდეგ = Georgia before and after the August war : საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, თბ., 2009.

ბევრი იყო ისეთი, ვისაც არ გააჩნდა კონკრეტული მოსაზრება 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, ამიტომ მათ თავი შეიკავეს გამოკითხვაში მონაწილეობისგან. არიან ისეთებიც, ვისაც ომში გამარჯვებულად რუსეთს მიიჩნევს, მცირე ნაწილი კი საქართველოს.[12]

გამოკითხვის შედეგებზე დიდად იმოქმედა შიშისა და დაუცველობის ფაქტორმა, რაც განსაკუთრებით აღინიშნება შიდა ქართლისა და იმერეთი რეგიონებში, სადაც უშუალოდ მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები. ასევე გამოიკვეთა შიშის ფაქტორი ქვეყნის სამომავლო ცხოვრებაშიც. მოსახლეობის გაკვეულ ნაწილს აქვს იმის მოლოდინი და შიში, რომ შეიძლება საომარი მოქმედებები კიდევ განახლდეს. უდაო ფაქტია ის, რომ ომმა მძიმე შედეგები გამოიწვია ქვეყნისთვის და მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ასეულობით ადამიანს მოუწია სახლის დატოვება და გახდა ლტოლვილი, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ, ომს არ გამოუწვევია ქსენოფობია, სიძულვილი რუსი, აფხაზი და ოსი ხალხისადმი. შემცირდა კონფლიქტის ძალისმიერი გზებით მოგვარების მომხრეთა რაოდენობა, საიდანაც იკვეთება რომ მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა გააცნობიერა ის ფაქტი, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში ერთადერთი დამნაშავე რუსეთია, რომელიც მუდმივად ცდილობს ეთნიკური უმცირესობების წაქეზებას კონფლიქტის პროვოცირებისთვის.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შესწავლისას უდიდესი მნიშვენოლობა ენიჭება რონალდ ასმუმის წიგნს, რომელში ანალიტიკურადაა განხილული ომის წინაპირობები, გამომწვევი მიზეზები და მისი შედეგები.

რ. ასმუსის აზრით, კონფლისტი დიდწილად გამოიწვია საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვამ, მის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების სურვილმა. მოსკოვმა არაერთხელ გააფრთხილა თბილისი, რომ მის ამგვარ მისწრაფებას მოყჰვებოდა საპასუხო შედეგები, აგვისტოში კი რუსეთი სიტყვიდან საქმეზე გადავიდა

[12] ნანა სუმბაძე, საქართველო აგვისტოს ომამდე და ომის შემდეგ = Georgia before and after the August war : საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, თბ., 2009, გვ.

და ომიც დაიწყო. წინა პერიოდში თბილისი დასავლეთს აფრთხილებდა მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ, თუმცა ამ გაფრთხილებებს არ მოჰყვა რეალური ქმედითი ნაბიჯები. დასავლეთი აშკარად ერიდებოდა რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებების დაწყებას. მსგავსი დამოკიდებულება იყო აშშ-ს მხრიდანაც, პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ცდილობდა არ ჩარეულიყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, თანაც მისი ყურადღება ძირითადად საპრეზიდენტო არჩევნებზე იყო გადატანილი.

თავად რ. ასმუსი და ევროპელი ლიდერებიც აფრთხილებდნენ მიხეილ სააკაშვილს, რომ თვითონ არ დაეწყო ომი, რადგან ომს ვერ მოიგებდა. ასევე ორიევ მხარეს მოუწოდბდნენ მოლაპარაკებებისა და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისკენ. თუმცა ომი მაინც დაიწყოდა. აშკარად გამოიკვეთა რუსეთის რალური სახე და მის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ანექსია. დასავლეთმა მოახერხა, რომ ხელი შეუშალა რუსეთის მხრიდან საქართველოს ხელისუფლების გადატრიალებას მცდელობას, თუმცდა დასავლეთმა და აშშ-მ ვერ შეძლეს რუსეთისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ომამდელი ტერიტორიების სტატუს კვეოს აღდგენა.

ეს ომი მიმართული იყო არამარტო საქართველოს წინააღმდე, არამედ აშშ-ს დასავლეთისდა და ნატოს წინააღმდეგ, რომლის გაფართოებასაც რუსეთი ყველანაირად ხელს უშლიდა. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის ომი მასშტაბებით პატატარ იყო, ბევრი სერიოზული კითხვა დაბადა ევროპულ უსაფრთხოებასა და მის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.[13] „საქართველოში შეჭრით რუსეთმა დაარღვია ევროპული უსაფრთხოების სისტემის ფუძემდებლური პრინციპები - საზღვრების შეცვლის დაუშვებლობა; ყველა ქვეყნის თანაბარი უსაფრთხოება; ნებისმიერი ქვეყნის უფლება, აირჩიოს, რომელ გაერთიანებას შეუერთდეს; სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ძალის განთავსების დაუშვებლობა მასპინძელი ქვეყნის თანხმობის

[13] რონალდ ასმუსი, მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბ., 2010, გვ.

გარეშე.“[14] რუსეთი ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა და ხელს უშლიდა საქართველოს გამოსვლას მისი გვალენის სფეროდან, მისი დასავლეთისკენ სწრაფვა ასევე აისახებოდა ჩრდილოკავკასიის ქვეყნებზეც, რაც არ შეესაბამებოდა რუსეთის ინტერესებს და ამ მიზეზით მოაწყო მან კონფლიქტის პროვოცირება. ხელი შეუშალა საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვას უკანონოდ და ძალისმერი მეთოდებით.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ფაქტების შესწავლა და სამართლებრივი შეფასება განახორციელა ევროკავშირის (მინისტრთა) საბჭოს 2008 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით შექმნილმა ფაქტების დამდგენმა საერთაშორისო მისიამ, შვეიცარიელი დიპლომატის, ჰაიდი ტალიავინის, ხელმძღვანელობით. ეს 1100 გვერდის მოცულობის ნაშრომია. მასში აღნიშნულია, რომ სამხედრო პროვოკაცია რუსეთის მხრიდან დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა და ომის დაწყებას წინ რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბულობის ხანგრძლივი პერიოდი, ინციდენტები და პროვოკაციები უძღოდა.[15]

ტალიავინის კომისიის ანგარიშის თანახმად, „არსებობს მტკიცებულება სამხრეთ ოსეთის ეთნიკურად ქართული სოფლების სისტემატური ძარცვისა და განადგურების შესახებ. შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ეთნიკურ წმენდას სამხრეთ ოსეთის ეთნიკურად ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ მართლა ქონდა ადგილი 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს და მის შემდგომ პერიოდში.”[16]

ასევე საინტერესო ნაშრომი აქვს დაწერილი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე ნარგიზა გამისონიას.[17] 2008 წლის აგვისტოში სეპატარისტულმა ძალებმა ერთდროულად დაიწყეს თავდასხმები ქართულ სოფლებზე, რასაც მოჰყვა საპასუხო სამხედრო ქმედებები საქართველოს ხელისუფლების მიერ, რომელსაც სხვა გზა არ

[14] http://www.tabula.ge/ge/story/52775-patara-omi-romelmac-shedzra-msoflio
[15] https://www.radiotavisupleba.ge/a/taliavinis-komisiis-daskvna/25212133.html
[16] http://smr.gov.ge/FileList.aspx?ID=8 https://old.civil.ge/geo/article.php?id=21826
[17] გამისონია ნარგიზა, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები, თბ.,2009.

გააჩნდა გარდა იმისა, რომ დაეცვა უდანაშაულო მოსახლეობა. 2008 წლის 8 აგვისტოს ქართული სამხედრო შენაირთები შევიდნენ ცხინვალში და ქალაქი დაიკავეს. თუმცა როგორც აღმოჩნდა ეს რუსეთის გეგმის ნაწილს წარმოადეგენდა, რომელიც ომამდე ბევრად ადრე დაიგეგმა. რუსეთი ომისთვის დიდი ხანი ემზადებოდა, რაზეც მეტყველებს ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები, დიდიძალი სამხედრო ტექნიკისა და სადესანტო დანაყოფები აფხაზეთში გადმოყვანა. 58-ე არმია განლაგდა რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელ როკის გვირაბთან. 7 აგვისტოს რუსული შენაერთები ცხინვალის რეგიონისკენ დაიძრნენ საკუთარი მოქალაქეების დასაცავად რაც საბაბს წარმოადგენდა და რეალურ მიზეზი საქართველოს ოკუპაცია იყო.

2008 წლის აგვისტოს ომამდე ბოლო პერიოდში რუსეთი გააღიზიანა საქათველოს ნატოსა და დასავლეთისკენ სწრაფვამ. მისი მიზანი იყო ცივი ომის შემდგომ არსებული დანაკარგების ანაზღაურება და სურდა რუკაზე წითელი ხაზის გალება, რომლის გადმოკვეთასაც დასავლეთსა და ნატოს აუკრძლავდა.

საქართველოს ნატოში გაერთიანება განაპირობებდა არამარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ კავკასიის რეგიონის სტაბილურობასაც, რომელსაც ოდითგანვე მნიშველოვანი როლი ენიჭებოდა გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. რუსეთი საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვას ყველანაირად უშლიდა ხელს და საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებდა მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ.

რუსეთის აგრესიას შეეწირა 412 ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის 170 სამხერო მოსამსახურე, 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 14 პოლიციელი. 10 სამხედრო მოსამსახურე და 14 პოლიციელი ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად, ასევე დაიღუპა 3 ჟურნალისტი, მათ შორის ერთი უცხოელი და ორი ქართველი, დაიჭრა ოთხი. 1747 მოქალქე არის დაჭერილი, 547 მშვიდობიანი მოქალაქე, 227 პოლიციელი და 973 სამხედრო მოსამსახურე. ომის შედეგად სერიოზული ზიანი მიადგა ქვეყნის ეკონომიკას, რაც გამოიხატა ნფრასტრუქტურის განადგურებასა და დაზიაებაში. უსახლკაროდ დარჩა ასეულობით ადამიანი, რომლების დევნილები გახდნენ, აქედან

გამომდიარე წარმოიშვა მათი დასაქმების პრობლემა. საქართველოს ეკონომიკურმა მაჩვენებელმა 9-დან 3,5%-მდე დაიწია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყანამ ტერიტორიის დაახლოებით 20% დაკარგა.

ნაშრომში ასევე საუბარია სამართლებრივი ნორმების დარღვევაზე. კითხვაზე შეეძლოთ თუ არა ოსებს მოეთხოვათ თუნდაც მხოლოდ ავტონომია თეიმურაზ ჯაშს, რომელიც ექსპერტია სახელმწიფს ტერიტორიული მართვის საკითხებში განაცხადა ,,საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით არც ერთი სახელმწიფოს ხელისუფლება თავის ტერიტორიაზე არ მიანიჭებდა ავტონომიას ოსებს და იმავდროულად, მკაცრად დაიცავდა თავისი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს“. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ოდითგანვე წარმოადგენდა საქართველოს და შიდა ქართლის განუყოფელ ნაწილს, თვითონ ტერმინი ,,სამხრეთ ოსეთი“ რუსების მიერ არის გამოგონებული საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში. აღნიშნული მიზნად ისახავდა ქართულ მიწაზე ხელოვნურად შეექმნათ ოსური ავტონომია, რომელიც მომავალში ,,მოინდომებდა“ ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებას.

რუსეთმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებით დაარღვია საერთაშორისო სამართლის ათივე პრინციპი (1.სახელმწიფოთა სუვერენობისა და თანასწორობის პრინციპი; 2. საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოუყენებლობის პრინციპი; 3. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი; 4. საზღვრების ურღვეობის პრინციპი; 5. სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი; 6. ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპი; 7. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემის პრინციპი; 8. დავების მშვიდობიანად მოწესრიგების პრინციპი; 9. სახელმწიფოების ერთმანეთთან თანამშრომლობის პრინციპი; 10. საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერად შესრულება.) რუსეთის შეიარაღებული ძალების გამოყენება ე.წ. სამხრეთ ოსეთში ეწინააღმდეგება თვითონ რუსეთის კანონმდებლობასაც, იქიდან გამომდინარე რომ ქვეყნის პრეზიდენტმა არ აცნობა

ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტს, რუსეთის შეიარაღებული ძალების გამოყენება ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

2008 წლის აგვისტოს ომს დიდი გამოხმაურება მოჰყვა უცხოურ პრესასა და მედიაში. ბევრი ითქვა და დაიწერა ომის მიზეზებზე, მის მსვლელობასა და შედეგებზე ყოველივე ამას კი ქვემოთ გავეცნობით დაწვრილებით.

პარაგრაფი III

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი უცხოურ ტელემედიაში

CNN[18]

2008 წლის აგვისტოს ომი გააშუქა ავტორიტეტულმა ტელეარხმა CNN-მა[19] (გამოქვეყნდა 2008 წლის 14 აგვისტოს). CNN უშუალოდ საუბრობს კონკრეტულ ფაქტებზე ომის მიმდინარეობისას, კერძოდ საუბარია გორიდან რუსი სამხედროების გაყვანაზე. არსებობს ანგარიშები, რომ რუსული მანქანები გადაადგილდებოდნენ ფოთის მიმართულებით. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ სენაკისა და ქუთაისის მიმართულებით გადაადგილდებოდა რუსული კოლონა, მათ შორის 100 მეტი ტანკი და სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშულაება თუმცა CNN -მა აღნიშნული ინფორმაცია არ დაადასტურა.

18

Cable News Network (**CNN**) არის ამერიკული სატელევიზიო არხი, რომელიც ეკუთვნის AT & T -ს და WarnerMedia-ს. CNN დაარსდა 1980 წელს ამერიკელი ტედი ტერნერის მიერ, როგორც 24 საათიანი საკაბელო საინფორმაციო არხი. CNN იყო პირველი 24 საათიანი ახალი ამბების გამშუქებელი სატელევიზიო არხი.

აშშ-ს თავდაცვის მინისტრის რობერტ გეიტსის [20] ცნობით, ქ. გორში 200-მდე რუსი ჯარისკაცი იმყოფებოდა. იგივეს ადასტურებს რუსეთის გენერელიტეტი, თუმცა მათივე თქმით, სამხედროებს რამდენიმე საათში უნდა დაეტოვებინათ ქალაქი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა[21] ფოთში რუსული საჯარისო დანაყოფების ყოფნა უარყო, მაგრამ CNN-ის ეკიპაჟმა, რომელიც ხუთშაბათს ფოთში წასვლას ცდილობდა აღმოაჩინა, რომ გზა გადაკეტილი იყო რუსი სამხედროების მიერ.

საქართველოში კონფლიქტი მაშინ დაიწყო, როდესაც თბილისმა სამხედროები გაგზავნა სამხრეთ ოსეთში სეპარატისტული მეამბოხეების წინააღმდეგ. რუსეთი მხარს უჭერდა სეპარატისტებს, რომელთა უმეტესობა რუსეთის მოქალაქეობას ითხოვს. მათ „დასახმარებლად“ კი მეორე დღესვე გამოგზავნა ტანკები. აღნიშნულ ფაქტზე შეშფოთება გამოთქვა საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ[22], რომელიც შემდგომში შუამდგომლობდა ცეცხლის შეწყვეტის ურთიერთშეთანხმებას საქართველოსა და რუსეთს შორის.

ანალიტიკოსები კონფლიქტს განიხილავენ როგორც საქართველოს ინიცირებულს, რომელიც ცდილობს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას, რათა შეამოწმოს დასავლური ალიანსების სიძლიერე რუსეთის წინააღმდეგ.

ხუთდღიანი ომის შემდეგ ორივე მხარემ ერთმანეთი დაადანაშაულა სამხედრო მოქმედებების დაწყებაში. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიუხედავად, ორივე მხარემ კვლავ გააგრძელა თავდასხმები სადავო ტერიტორიებზე. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ლიდერების მოსკოვში ვიზიტისას, სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ საქართველოს

---

[20] **რობერტ მაიკლ გეიტსი** (დაიბადა 25 სექტემბერს, 1943) არის ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, ანალიტიკოსი და უნივერსიტეტის პრეზიდენტი, აშშ-ს თავდაცვის მინისტრი 2006 წლიდან 2011 წლებში. იგი თავდაცვის მინისტრად დაინიშნა ჯორჯ ბუშის დროს მაგრამ თანამდებობა ბარაკ ობამას პრეზიდენტობისასაც შეინარჩუნა.

[21] **სერგეი ლავროვი** (რუს. Сергей Викторович Лавров; დ. 21 მარტი, 1950) - რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (2004 წლიდან), რუსეთის უსაფრთხოების საჭოს წევრი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

[22] **ნიკოლა სარკოზი** (ფრანგ. Nicolas Sarkozy, დ. 28 იანვარი, 1955, პარიზი), - ფრანგი პოლიტიკოსი, საფრანგეთის პრეზიდენტი 2007-2011 წლებში. თანამდებობა დაიკავა 2007 წლის 16 მაისს, მას შემდეგ რაც არჩევნებში დაამარცხა სოციალისტური პარტიის კანდიდატი სეგოლენ რუაიალი.

ამჟამინდელი საზღვრები „შეზღუდულია“ და სეპარატისტული რეგიონი არასოდეს დათანხდმდება ისევ ძველი საზღვრების დაბრუნებას. სამივე მათგანმა ერთხმად გამოაცხადა ერთიანობა და აფხაზეთის ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა[23] საქართველოს აგრესორი უწოდა. სამხრეთ ოსეთის ლიდერმა ედუარდ კოკოითმა[24]კი საქართველოს თავდაპირველი თავდასხმა ცხინვალზე რუსეთის საპასუხო შემოჭრის არგუმენტად დაასახელა.

სააკაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთი შეიჭრა მის ქვეყანაში. ბომბების უმეტესი ნაწილი წმინდა ეკონომიკურ და სამოქალაქო ობიექტებზე მოდის, რაც ცხადად მიანიშნებს იმაზე, რომ ეს იყო წინასწარ განზრახული და დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია, რომელიც მხოლოდ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის პრობლემის გამო არ დაწყებულა. აშშ-ს ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებით, რუსეთს ჰყავს 160000-ზე მეტი ჯარისკაცი რეგიონში, ორჯერ მეტი ვიდრე ბრძოლის დაყწებამდე.

Euronews ევრონიუსი[25]

ბოლო განახლება 07.08.2018 წელი ავტორი-კრის ჰარისი

კონფლიქტის გარემოებები

---

[23] **სერგეი ბაგაფში** (აფ. Сергеи Уасил-иԥа Багаԥшь; დ. 4 მარტი, 1949, სოხუმი, საქართველო - გ. 29 მაისი, 2011, მოსკოვი, რუსეთი) - აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი 1997-1999 წლებში, ხოლო 2005-2011 წლებში - მეორე პრეზიდენტი.

[24] **ედუარდ ჯაბეს ძე კოკოითი** (ოს. Кокойты Джабейы фырт Эдуард; დ. 31 ოქტომბერი, 1964) - ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი 2001 წლის 18 დეკემბრიდან 2011 წლის 10 დეკემბრამდე.

[25] https://www.euronews.com/ euronews არის ევროპული სატელევიზიო სანიფორმაციო მაუწყებლობა, რომლის სათაო ოფისიც საფრანგეთში მდებარეობს. კერძოდ ქალაქ ლიონში. Euronews-მა მაუწყებლობა დაიწყო 1993 წლის 1 იანვარს და მიზნად დაისახა მსოფლიოს ამბების გაშუქება. იგი ერთდროულად ფლობს რამოდენიმე ევროპულ და აფრიკულ სამაუწყებლო ტელევიზიას. 2015 წლიდან გლობალური ქსელების უმრავლესობა 53 ეკუთვნის ეგვიპტელ მილიარდერ ნაგუიბ სავირისს, რომელიც ასევე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეცაა.

სამხრეთ ოსეთი კრემლის მხარეს იჭერდა, რადგან 1920-იანი წლებში წითელი არმია[26] შემოიჭრა საქართველოში და აღნიშნულ ტერიტორიას ავტონომიური რეგიონის სტატუსი მიანიჭა. 1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ მოსკოვისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა.

მომდევნო ხელოსუფლებაში მოსულმა ნაციონალისტმა ზვიად გამსახურდიამ ხელი შეუწყო სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული განწყობის გაღრმავებას. რის შედეგადაც 1992 წელს მან საქართველოსგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გაღიზიანებულმა რუსეთის ძლევამოსილმა სამხედრო ფიგურებმა საქათველოზე შურისძიების მიზნით, მის დასასუსტებლად ხელი შეუწყვეს სამხრეთ ოსეთს.

რა მოხდა შემდეგ?

სამწლიანი დაპისპირებისა და ძალადობის შემდეგ რუსეთმა, სამხრეთ ოსეთმა და საქართველომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლს შეყვეტის შესახებ 1992 წელს, რამაც გამოიწვია სამხრეთ ოსეთში ქათველი და რუსი სამშვიდობოების განლაგება.

მდგომარეობა საგრძნობლად დასტაბილურდა 2004 წლამდე, მანამდე სანამ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახდებოდა. მას სურდა სამხეთ ოსეთის ქართულ ოჯახში დაბრუნება. ეს იდეა უარყოფილ იქნა შეხვედრაზე სამხეთ ოსეთის მიერ რომელიც ორი წლის შემდეგ გაიმათა.

როგორ დაიწყო კონფლიქტი?

---

[26] **მუშურ–გლეხური წითელი არმია** (რუს. **Рабоче-крестьянская Красная Армия (РККА)**) — სსრკ-ის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი სახელწოდება.წითელი არმიის დაარსების დღედ მიჩნეულია 1918 წლის 23 თებერვალი,როდესაც, ოფიციალური საბჭოთა პროპაგანდის მიხედვით, მიღწეულ იქნა პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება კაიზერის გერმანიასთან ომში.

2008 წლის აპრილში საქართველოს ხელისუფლება გააღიზიანა რუსეთსა და სამხეთ ოსეთს შორის მჭიდრო კავშირის განმტკიცებამ, ხოლო მოსკოვი კი საქართველოს ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანების ამბიციამ. ზაფხლში ორივე ქვეყნის სამხედოები ემზადებოდნენ საომარი მოქმედებებისთვის.

2008 წლის აგვსტოში დაიყო შეტაკებები ქართულ ჯარსა და სეპარატისტულ ძალებს შორის. ამავდროლად ქართულმა არმიამ ქ. ცხინვალზე დაიწყო ორგანიზებული საჰაერო და სახმელეთო შეტევები, რამაც კონფლიქტი გამოიწვია. ამის შემდგომ შევიდნენ რუსთა ტანკები სამხრეთ ოსეთის ტერიტორაზე, რათა დახმარებოდნენ თავის მოქალაქეებს. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს რუსული პასპორტები ჰქონდა.

რამდენიმე დღეში რუსეთმა დაიკავა სამხრეთ ოსეთის ტერტორა და თბილისის თავდასხმებიც კი განახორციელა.

ადამიანური მსხვერპლი

აგვსტოს ხუთდღიანი ომის შედეგად 800 ადამიანი დითუპა. Human Rights[27]-მა განაცხადა, რომ კონფლიქტის ყველა მონაწილემ არაერთხელ დაარღვია ომის კანონები. 2009 წლის ანგარიშში არასამთავრობო ოგანიზაციამ აღნიშნა, რომ ქართული ჯარის გაყვანის შემდეგ სამხრეთ ოსეთის ძალებმა ,,განზრახ და სისიტემატიურად გაანადგურეს სოფლები, სადაც ეთნიკურად ქათველები ცხოვრებდნენ". ამავდროულად 2009 წლს გამოქვეყნდა ევროკავშირის დამოუკიდებელი ანგარიში, რომლის მიხედვითაც კონფლიქტი საქათველომ დაიწყო, თუმცა პროვოცირება რუსეთმა მოახდინა.

რა მოხდა ომის შემდეგ?

2008 წლის 12 აგვოსტოს საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით საქართველოსა და რუსეთს შორს გაფორმდა შეთანხმება ცეცხლის

[27] **Human Rights Watch** (ქართ. ადამიანთა უფლებების დამცველი) — ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია. დაარსდა 1978 წელს აშშ-ში. მისი სათავო ოფისი განთავსებულია ქალაქ ნიუ-იორკში.

შეწყვეტის შესახებ. რუსეთმა აღარა სამხეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და მასთან ერთად აფხაზეთისაც. რუსეთის პოზიაცია მხოლოდ რამოდენიმე ქვეყანამ გაიზიარა.

რა გავლენას ახდენს კონფლქტი საქათველოსა და სამხრეთ ოსეთზე?

ომის შედეგებზე ძითადად გიორგი მჭედლიშვილზე დაყრდნობითაა საუბარი, რომელიც საქართველოს საექსპერტო Chathm House[28]-ს ანალიტიკოსია. მჭედლიშვილის თქმით ე.წ სამხეთ ოსეთის რეგიონი პოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან სუსტია და მთლიანადაა დამოკიდებული რუსეთისგან დაფინანსებაზე. ექსპერტი ასევე საუბრობს საქართველოს ხელისუფლებისა და ოპოზიციას შორის ურთიერთობის გართულებაზე ომის შემდგომ პერიოდში. ვინც კი სააკაშვილის მთავრობას აკრიტიკებდა ბრალად ედებოდა რუსეთს აგენტობა და სამშობლოს ღალატი- ამბობს გიორგი.

კონფლიქტმა ხელი შეუწყო საქართველოს დაახლოებას ევოკავშითან. 2014 წელს ხელი მოეწეა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, მაგამ ეს უფრო ფორმალური წევობა იყო ვიდე რეალობა.

როგორია ომის გავლენა რუსეთზე?

რუსეთმა აჩვენა, რომ მას შეუძლია დაარღვიოს საერთაშორსო სამართალი, დაიპყროს სხვა ქვეყნები. საქართველოს მსგავსი შემთხვევა განმეორდა შემდგომ უკრაინაშიც : განაცხადა მაქს ფუსმა.

ევრონიუსს განხილული აქვს რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების წინაპირობები ქრონოლოგიურად. ის ომის დაწყებაში საქართველოს ადანაშულებს მათ მათ თავდასხმას მოჰყვა რუსეთის ჩრევა ომში რათა დაეცვა საკუთარი მოქალაქეები., თუმცა ადასტურებს ქართველთა ეთნიკურ წმენდა ცხინვალის რეგიონში. ანგარიშში საუბარია ევროკავშირის

დამოუკიდებლ ანგარიშზე რომლის მიხედვითაც კონფლიქტის პროვოცირება რუსეთმა მოახდინა.

Deutchland funk[29]

10 წელი ომის შემდეგ

2008 წლის კავკასიის ომის შემდეგ საქართველომ დაკარგა სამხრეთ ოსეთში შესვლის უფლება, რომელიც აღიარებულია რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მიუხედავად იმისა რომ, არსებობს შერიგების შესაძლებლობა, სამ ქვეყანას (საქართველო, სამხეთ ოსეთი და აფხაზეთი.) შორის ურთიერთობა დღესდღეისობით საკმაოდ დაძაბულია.

ტილეკოს სემოლინა

ომი იწყება 2008 წლის 7 აგვისტოს ღამით, ქართული შენაერთები თავს დაესხნენ სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალს, რათა კონტროლი დაებრუნებინათ რეგიონზე. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამხრეთ ოსეთი დღემდე საქართველოს ეკუთვნის. ცხინვალზე თავდასხმას მოყვა საპასუხო ქმედებები რუსი სამშვიდობოებისგან, რუსულმა თვითმფრინავებმა თავდასხმები განახორციელეს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და მოახდინეს დიდი ნაწილის ოკუპაცია. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა: ,,მე გამოვაცხადე საომარი მდგომარეობა, რადგან, ჩვენი ქვეყანა რუსეთის ფედერაციის მხრიდან სამხედრო აგრესიის წინაშეა“. პუტინმა აღნიშნულზე გააკეთა შემდეგი განცხადება: ,,სამხრეთ ოსეთში საქართველოს მთავრობის ქმედება რა თქმა უნდა დანაშაულია, რასაც მოჰყვა უამრავი მსხვერპლი, მათ შორის, სამოქალაქო მოსახელობის. ეს კი ნამდვილი ჰუმანიტარული კატასტროფაა.“

კითხვაზე თუ ვინ არის დამნაშავე 5 დღიანი ომის დაწყებაში, პასუხის გაცემა უკიდურესად რთული და საკამათოა. ევროკავშირის სახელით ისტორიკოსების,

[29] **Deutchland funk** გერმანიის რადიო, დაარსდა 1962 წლის 1 იანვარს. დღის განმავლობაში ყურადღება გამახვილდება პოლიტიკის, ბიზნესისა და მეცნიერების ყოველდღიური სიახლეებზე.

იურისტების, პოლიტიკოსებისა და სამხედრო ანალიტიკოსებისაგან შემდგარმა კომისიამ შეისწავლა აღნიშნული ომი და დასკვნაში განაცხადა რომ ომი დაიწყო საქართველომ. ომში დაახლოებით 850 ადამიანი დაიღუპა, 100 000-ზე მეტი მოქალაქე გახდა ლტოლვილი და მოუწია საცხოვრებელი სახლის დატოვება. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ბრძოლის დასაწყისი იყო ხანგრძლივი დაძაბული მდგომარეობა და პროვოკაციები. სამხრეთ ოსეთი ითხოვდა ავტონომიას, რუსეთი კი უკმაყოფილო იყო საქართველოს პროდასავლური კურსის გამო.

2008 წლის 12 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის ძალისხმევით რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმდა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება. სარკოზიმ ასევე განაცხადა, რომ ევროპა გმობს რუსეთის ამგვარ პოლიტიკას, ასევე მათთვის ცხადია საქართველოს სწრფვა ევროკავშირისკენ, მიისგან ელის ფინანსური, ჰუმანიტარული და ეკონომიკური მხარდჭერას და ეს მოლოდინი არ იქნება იმედგაცრუებული. ლტოლვილთა ნაწილი დაასახლეს შავშვების მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს თბილისიდან გორისკენ მიმავალ გზაზე, სტალინის სამშობლოსთან ახლოს. ეს არის ერთსართულიანი ნაგებობები, რომლის ფართობიც ოდნავ აღემატება 60 კმ²-ს. ეს საცხოვრებლები მარტივიადაა აშენებული ქვით.

ქ-ნი გალინა ქელეძაევა 10 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ასეთ სახლში. ის 2008 წლის ომამდე გაიქცა საქართველოში. მისი თქმით საცხოვრებლად გადავიდა მშენებლობის დასრულებიდან სამ თვეში, როდესაც კედლები ჯერ კიდევ სველი იყო. შეუძლებელია ასეთ მოკლე დროში, ამდენი სახლის კარგად და ხარისხიანად აშენება. გალინა ქელეძაევამ მეუღლესთან ერთად მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს დაა ფონდებს საბავშვო ბაღის გახნის თხოვნით. წყალი გრაფიკითაა და სამუშაო ადგილები ძალიან ცოტაა, ზაფხულში ბევრ დევნილს შეუძლია მინდორში იმუშაოს დღეში 20 ლარად, ეს კი მხოლოდ 7 ევროა. ზამთარში ისინი ზაფხულის მოსვლას ელოდებიან. სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილების ინტეგრაცია საკმაოდ რთული პროცესია, იტყობინება აფხაზეთის საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრის დირექტორი, ნაპოლეონ მილორავა. საქართველოში თითქმის 280 000 დევნილია რეგისტრირებული, მათი უმეტესობა

აფხაზეთიდანაა. 1992-1993 წლებში, შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ ეს რეგიონი ქართული კონტროლის ქვეშ აღარ ყოფილა.

საქართველოს სახელმწიფოს მხარდაჭერა

საქართველოს სახელმწიფო მხარს უჭერს მათი გადასახადებისაგან გათავისუფლებას და ეხმარებიან ფულადი სესხებით. გარდა ამისა თითოეული ლტოლვილი იღებს 45 ლარს, რომელიც 16 ევროს ტოლია, უფასოა ჯანდაცვა და განათლება.

ევროკავშირის მისია მუშაობს 24 საათის განმავლობაში, წელიწადში 365 დღე, ნებისმიერ ამინდში. მათი ძირითადი პასუხისმგებლობაა ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ზრუნვა, რომლებიც 2008 წლის კონფლიქტის შედეგად დაზარალდნენ, მაგრამ მათ არ შეუძლიათ შევიდნენ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებზე. მისიის ხელმძღვანელი არის DANE eric hoeg, ერიკ ჰოიგი. რომელიხ ხაზს უსვამს: ,,მისია შეუიარაღებელია და მკაცრად ნეიტრალური". ევროკავშირის სადამკვირვებლო კომისია ფუნქციონირებს 2008 წლის ოქტომბრიდან. მისიაში ამჟამად დაახლოებით 200 დამკვირვებელია გაერთიანებული. ისინი პატრულირებისას გადაადგილდებიან გამყოფი ხაზების გასწვრივ,იქ სადაც ადმინისტრააციული სასაზღვრო ხაზი გადის. არ შეიძლება საზღვრების აკითხი ამგვარად დაისვას რადგან ევროკავშირი არ აღიარებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას. 2009 წლიდან მოსკოვმა დაარღვია 6 პუნქტიანი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და გააფართოვა საზღვრები.

სამხრეთ ოსეთში უცხოელი ჟურნალისტიბეისთვისაც კი არაა ხელმისაწვდომი მიმდინარე მოვლენების გაშუქება. **Deutchland funk** თვეზე მეტია ცდილობს გაიაროს აკრედიტაცია ამ ტერიტორიაზე სამოშაოდ. 2015 წლის აღწერის მონაცემებით, რეგიონში ცხოვრობს 53 ადამიანი, დიდია რუსეთის გავლენა ფინანსური კუთხით. სამხრეთ ოსეთი მიმდინარე წელს გეგმავს დაახლოებით 7.7 მლრდ. რუბლის ხარჯებს, რაც არა ნაკლებ 106 მლნ. ევროა. ამ ფულის 86% რუსეთისგანაა დაფინანსებული. სისტემატიურად იზღუდება საქართველოს გავლენა, ბოლო პერიოდში გაუქმდა ქართული სკოლები და სწავლება

ქართულ ენაზე. ალან პარასტაევი, [30]რომელიც მცირე ტურისტულ ბიზნესს ახორციელებს სამხრეთ ოსეთის რეგიონში, მჭიდრო ურთიერთობა აქვს რუსეთთან, მისი თქმით ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია: ,,ჩვენ უსაფრთხოდ ვართ, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობამ 1990-ანი წლიდან პირველად იგრძნო თავი მშვიდად და უსაფრთხოდ და არ უნდა ეშინოდეს ქართული აგრესიის, რადგან მათ სურეთი დაიცავს.“

შერიგების სამინისტრო

ივნისის შემდეგ პრემიერ მინისტრი მამუკა პაჭაძე გახდა. მისი მთავრობა ასევე ხელს უწყობდა სამხრეთ ოსეთთან შერიგების პოლიტიკას.

ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება

ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება საქართველოსთვის ისევ სამომავლო პერსპექტივას წარმოადგენს. სამხედრო ალიანსი განაგრძობს ტრენინგებს და ქართული არმიის მომზადებას, რომელიც მონაწილეობს ავღანეთის სამხედრო ოპერაციებში. ნატოს ივლისის სამიტზე ალიანსმა კიდევ ერთხელ დაადარტურა გაწევრიანების მზაობა, მაგრამ არ განაცხადა კონკრეტული ვადები. ვლადიმერ პუტინმა ივლისის შუა რიცხვებში განაცხადა, რომ რუსეთი უარყოფითადაა განწობილი საქართველოს ნატოსკენ სწრაფვასთან დაკავშირებით.

თბილისი მთავრობა განაგრძობს დასავლური კურსის მხარდაჭერას, რასაც რეგულარულად ამტკიცებს ჩატარებული გამოკითხვები. არსებობენ ხალხის პატარა ჯგუფები, რომლებიც პრო-რუსეულად არიან განწყობილნი. რუსეთ-საქართველოს შორის

[30] **ალან ფარასტაევი** დაიბა 1951 წლის 5 ივლისს. არის ეთნიკური ოსი იურისტი და პოლიტიკოსი, რომელიც მსახურობდა სეპარატისტული ხელისუფლებასთნ სამხრეთ ოსეთში 1992-2005წლებში. იგი დაკავებული იქნა სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მიერ 2006 წელს, მაგრამ 2008 წლიდან გაიქცა საქართველოში. ამის შემდეგ პარასტაევი საქართველოს მთავრობაში მუშაობდა.

ჟენევის მოლაპარაკებებზე, რომლებიც წლების განმავლობაში მიმდინარეობა, რაიმე კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია.

საქართველოს, სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს შორის ომიდან 10 წლის შემდეგ პოლიტუკური ფრონტები კვლავ გაძლიერდა. საქართველომ დაკარგა ორ რეგიონში ხელმისაწვდომობა.

Deutchland funk ომის დაწყებაში გადაჭრით რომელიმე მხარეს არ ადანაშაულებს, კონრეტული დასკვნებისგან თავს იკვებს. იმის მიუხედავად, რომ სტატიაში განხილულია ევროკავშირის კომისიის დასკვნა **Deutchland funk** ზაგზასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ სამხრეთ ოსეთი სამართლებრივი ნორმების მიხედვით დღემდე საქართველოს ეკუთვნის, რაც იმას გულისხმობს, რომ ომი დაიწყო რუსეთმა, როდესაც საპასუხო სამხედრო შეტევა დაისწყო საქაღტველოს წინააღმდეგ როდესაც ის სამხრეთ ოსეთის სეპარატისტებს დაესხა თავს. მოცემულ ჟურნალში ძირითადაა სტატისტიკაა წარმოდგენილი ომში დაღუპულთა დადევნილთა რაოდენბის შესახებ.

როიტერი[31]

გამოქვეყნდა 2009 წლის 30 სექტემბერს / 7:45 PM

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი როიტერს გაშუქებული აქვს ევროკავშირის ანგარიშზე დაყრდობით, რომლის მიხედვითაც ომი საქართველომ

[31] Reuters არის საერთასორისო საინფორმაციო ორგანიზაცია. ინფორმაციის გავრცელებება ხდება როგორც ბეჭდური მედიის - ჟურნალ გაზეთების, ინტერნეტის და ასევე სატეევიზიო და რადიო გადაცემების საშუალებით. Reuters 1851 წელს დაარსა პოლ როიტერმა ინგლისში ქალაქ ლონდონში. სააგენტოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში 197 ბიურო აქვს დაარსებული. თანამშრომელთა რაოდენობა 14000 ადამიანს შეადგენს აქედან 2300 ჟურნალისტია.
როიტერი ახალ ამბებს ავრცელებს ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ესპანურ, პორტუგალიურ, რუსულ, ინდურ, არაბულ, იაპონურ, კორეულ და ჩინურ ენებზე.

დაიწყო. თუმცა ამასთან ერთად აღნიშნავენ რომ რუსეთის საპასუხო იერიში საერთაშორისო სამართლის დარღვევაა. ევროკავშირის მიერ გავრცელებული ანგარიშის მიხედვით ორივე მხარემ დაარღვია საერთაშორისო სამართლის კანონები და ცხინვალის რეგიონში სამხრეთ ოსეთში დაადასტურა ქართველების ეთნიკური წმენდა. როიტერში გამოქვეყნებულია შვეიცარიელი დიპლომატის ჰაიდი ტალიავინის განცხადება, რომლის მიხედვითაც ომი დაიწყო საქართველომ როდესაც მძიმე არტილერიით ცხინვალი დაარბია. მოხსენებაში ნათქვამია რომ ომი მოჰყვა რუსეთის პროვიკაციებს, მაგრამ ტალიავინი ამბობს, რომ საქართველოს არ აქვს სამართლებრივი ახსნა სამხრეთ ოსეთზე თავდასმის შესახებ.

მოხსენებაში ნათქვამია, როსეთის კონტრშეტევა თავდაპირველად კანონიერი იყო, მაგრამ მისი ქმედებები საერთაშორისო სამართლის დარღვევად ჩაითვალა მას შემდეგ როდესაც რუსეთის უკვე საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ. რუსეთი მნიშვნოლოვნად გასცდა საკუთარი მოწალაქეების დაცვის ფარგლებს. რუსებმა დაიკავეს ძირითადი სტრატეგიული წერტილები: აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი მაგისტრალი შავი ზღვის ფოთის პორტი და ქ. გორი. რუსეთმა აღიარა მეამბოხე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა. რუსულმა თვითმფრინავებმა დაბობმებს სამხედრო ბაზები და აეროპორტი. იძულებით გადაადგილებულთა რაოდენობამ ორივე მხრიდან 100 000 სს მიაღწია.

„ანგარიში ადასტურებს, რომ რუსეთი ამ ომისთვის ემზადებიდა და კულმინაცია 7-8 აგვოსო იყო“ განცხადა თემურ იაკობაშვილმა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში. თბილისი აცხადებს, რომ 228 ქართველი დაიღუპა, აქედან 184 სამხედრო მოსამსახურეა. რუსეთი აცხადებს, რომ დაიღუპა 64 სამხედრო მოსამსახურე და 162 სამხრეთ ოსეთის მოქალაქე. მოხსენებაში არ დასტორდება ქართველტა მიერ ოსი ხალხის გენოციდი, თუმცა სამხრეთ ოსეთში შეინიშნებოდა ქართველთა სერიოზული ეთნიკური წმენდის ნიშნები.

როიტერიც ევროკავშირის მოხსენებაზე დაყრდნობით საუბრობს, ტავდაპირველ ეტაპზე ამართლებ სრუსეთის ქმედებას საპასუხო თავდასხმაზე მაგრამ მი შემდომ ნაბიჯებს საერტაშორისო სამართლის ნორმების დარღვევად თვლის.

ევროპის რადიო[32]

სტატიის ავტორია ბრაიან ვაითმური

გამოქვეყნდა 2008 წლის 15 აგვისტოს 20:37 საათზე

აგვისტოს ომის დაწყებამდე ივლისის თვეში მიმდინარეობდა სამხედრო წვრთნები. 8 აგვისტოს რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხრეთ ოსეთში შეყვანამდე ერთი თვით ადრე მათ ჩრდილო კავკასიაში ჩაატარეს მასობრივი სამხედრო წვრთნები, რომელშიც 8 ათასი სამხედრო მოსამსახურე და 700 სამხედრო ჯავშან-ტექნიკა მონაწილეობდა. ივლისის მეორე ნახევარში საქართველოს საზღვართან ახლოს იმყოფებოდა რუსეთის 58-ე არმია რომელმაც მოგვიანებით გადამწყვეტი როლი ითაამაშა ომის მსვლელობაში.

სამხედრო ანალიტიკოსი პაველ ფენგერგაუერის განცხადებით რომ მიზანი თავიდანვე საქართველოს პრეზიდენტის მიეხილბ სააკაშვილის და მისი პრო-დასავლური ხელისუფლების დამხობა იყო. ,,ეს იყო დიდი ხნის წინ მომზადებული“ ამბობს ფენგერგაუერი. მოსკოვის სამხედრო ანალიტიკოსმა რადიო ,,თავისუფლებასთან“ საუბრისას განაცხადა რომ ომის დაწყება აპრილში დაიგეგმა.

ომის დაგეგმვა

[32] https://www.rferl.org/l Radio Free Europe, Radio Liberty რადიო თავისუფალი ევროპა დაარსდა ნიუ იორკში 1949 წელს ალენ დიულსის მიერ. ფინასდება აშშ-ს მთავრობისგან.

ფელგენგაუერი აცხადებს რომ რუსეთმა ეს გადაწყვეტილება მიიღო აპრილის თვეში, როდესაც ნატოს სამხედრო ალიანსმა უარი თქვა საქართველოსა და უკრაინის წევრობაზე, ყოველწლიურ სამიტზე ბუქარესტში. ყოველკვირეულ გაზეთში ,,ნოვაია გაზეტა"[33], გამოქვეყნდა სტატია, რომელის მიხედვითაც მოსკოვის გეგმის შედგენა დაიწყო მაშინ როდესაც საქართველომ და უკრაინამ ნატოსგან უარი მიიღეს. გადა ამისა მოსკოვი გააღიზიანა საქართველოს აშკარა პრო დასავლურმა მისწრაფებებმა და ასევე შესაძლოა იმ ფაქტმაც რომ ნატო დაპირდა თბილისსა და კიევს რომ მომავალში შეეძლებოდათ სამხედრო ალიანსში გაწევრიანება.

სტივენ პიფერმა აშშ-ს ყოფილმა ელჩმა უკრაინაში, რომელიც ვაშინგტონში ბრუკინგის ინსტიტუტში იმყოფება ამბობს რომ ნატოს გადაწყვეტილება რუსეთს საქართველოსთან უხეში თამაშისკენ მოუწოდებდა. დიდი იყო წინააღმდეგობა საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანების წინააღმდეგ.

ონლაინ გაზეთ ,,ეჟედნევნი ზერნა"-ში[34] წერს ანდრეი ილარიონოვი და ასევე ამტკიცებს, რომ რუსეთის საქართველოში შეჭრა კარგად მომზადებული და წარმატებულად განხორციელებული გეგმა იყო. ილარიონოვი არის ვლადიმერ პუტინის ყოფილი მრჩეველი, რომელიც კრემლის მწვავე კრიტიკოსი გახდა. ილარიონოვის ასეთი ინტერპრეტაციები ეწინააღმდეგება კრემლის მიერ შიდა და საერთაშორისო მედიაში გავრცელებულ ინფორმაცია ომის დაწყების შესახებ, რომ რუსული ძალები მქომედებდნენ მხოლოდ იმისთვის რომ დაეცვათ რუსი მოქალაქეები და სამშვიდობო ძალები ქართველი სამხედროებისგან ეთნიკური წმენდისა და გენოციდისგან სეპარატისტულ რეგიონში.

გაძლიერებული კავშირები

---

[33] ***ნოვაია გაზეტა*** რუსული სოციალურ-პოლიტიკური, გაზეთია რომელიც კვირაში სამჯერ იბეჭდება.

ნატოს სამიტის შემდეგ პუტინმა მისი პრეზიდენტობის ბოლო თვეში კიდევ უფრო გააძლიერა მოქმედებები სეპარატისტულ ხელისუფლებისადმი. 16 აპრილს რუსეთის მთავრობამ ხელი მოაწერა შეთანხმებას რომლის მიხედვითაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაძლიერდებოდა დიპლომატიური დახმარება. იმავე თვეში რუსეთმა 1500 დამატებითი ჯარისკაცი შეიყვანა აფხაზეთში, ზოგიერთი მძიმედ შეიარაღებული სამშვიდობო კონტიგენტისთვის საქართველოს თანხმობის გარეშე. ეს ნაბიჯი 1994 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების უხეში დარღვევაა და მძიმე სამოქალაქო ომის წინაპირობას წარმოადგენს. ამ კვირების განმავლობაში საქართველომ დაადანაშაულა რუსეთი უპილოტო თვითმფრინავის ჩამოგდებაში რომელიც აფხაზეთში სადაზვერვო ფრენებს ატარებდა. რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა ასევე გადაკვეთა სეპარატისტული ტერიტორიის მახლობლად საქართველოს საჰაერო სივრცე. რუსეთმა კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია აფხაზეთთან შეუიარაღებელი ძალების განლაგებით აფხაზეთსა და ოჩამჩირეს შორის სარკინგზო ხაზის აღდგენის მიზნით. მოსკოვის მტკიცებით ეს ნაბიჭი მონიტარული ჟესტი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მაგრამ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ევროპისსა და ევრაზიის საკითხებში მეთიუ ბრაიზა ამტკიცებს, რომე ეს ნაბიჯი სამხედრო დანაყოფებისა და ტექნიკის საქართველოში გადასაყვანადაა გადადგმული.

11 აგვისტოს თბილისში ბრაიზამ ჟურნალისტებს განუცხადა: ,,ახლა ჩვენთვის უკვე ცნობილია სიმართლე იმის შესახებ თუ რატომ იყო ეს ძალები აფხაზეთში და რატომ დაიწყო რკინიგზის აღდგენა, რათა მომხდარიყო რუსი სამხედრო მოსამსახურეებისა და საბრძოლო მასალების ტრანსპორტირება.“

აგვისტოს დასაწყისში საქართველოს სამხრეთ ოსეთის დეფაქტო საზღვართან მოხდა შეტაკება, მოსკოვმა თბილისი ზედმეტი ძალის გამოყენებაში დაადანაშაულა. იმავდროულად საქართველომ რუსი სეპარატისები დაადანაშაულა საქართველოს მიერ კონტროლირებადი სოფლების დაკავებაში. ეს არის ომი რომელიც რუსეთს სურდა და აშკარად გეგმავდა. რუსეთის ჯარი საოკუპაციო ზოლთან იყო მზადყოფნაში და

ელოდებოდა სამხედრო მოქმედებების დაწყებას. შეტაკებების შედეგად, 7 აგვისტოს საქართველომ ფართო მასშტაბიანი ოპერაცია დაიწყო სამხრეთ ოსეთზე, მოსკოვის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტულ რეგიონზე კონტროლის მოსაპოვებლად. შეტევას რუსეთის მხრიდან აღშფოთება მოჰყვა, რომელმაც ჯარი, სამხედრო თვითმფრინავები და ტანკები გააგზავანა ქართველი სამხედროების წინააღმდეგ.

ალექსანდრე გოლტსმა რომელიც მოსკოვის თავდაცვის ანალიტიკოსია, განაცხადა რომ კონფლიქტი არ იყო დაგეგმილი და ორანიზებული, რასაც იმით ხსნის რომ რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი და პრემიერ მინისტრი ვლადიმერ პუტინი მოსკოვში არ იმყოფებოდნენ. მიუხედავად იმისა, ომი იყო თუ არა წინასწარ განსაზღვრული, გოლტი ამბობს რომ კრემლს პასუხისმგებლობა ეკისრება იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო წლების განმავლობაში რუსეთის პოლიტიკამ ეს ომი გამოიწვია.

ევროპის რადიოც ილარიონოვისა და განსაკუთრებით ფელგეგგაუერის დასკვნების მიხედვით მსჯელობს ამიტომ ომის დაწყებაში რუსეთს ადანაშაულებს რაც აბსოლიტურად ლუგიკურია. ფელგენგაუერი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რუსეთის საჰაერო საზღვაო და სახმელეთო საჯარისო დანაყოფების მობილიზებას და მათ გადასროლას სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, ამიტომ ლოგიკურად მიიჩენს იმ ფაქტს რომ რუსეთი ამ ომისთვის მზდ იყო და მასში გაბმა მოულოდნელობას არ წარმოადგენდა.

ამერიკის ხმა [35] Voice of America

ამერიკის ხმის კორესპონდენტმა თეა სიჭინავამ ნიუ იორკში ინტერვიუ ჩაწერა კოლუმბიის უნივერსიტეტის ხელმძღვანელთან, ალექსანდრ ქულთნ. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი სამხედრო დაპირისპირების სამ მთავარ ფაქტორზე საუბრობს.

---

[35]https://www.voanews.com/ **„ამერიკის ხმა“** (ინგლ. / Voice of America, VOA) - აშშ ს მთავრობის ოფიციალური საგარეო, სამაუწყებლო ქსელი. ინფორმაციას გადასცემს 46 ენაზე, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით მთელი პლანეტის მასშტაბით (აშშ-ს ტერიტორიის გარდა). მისი სიხშირეების ტრანსლირება ხდება თანამგზავრების საშუალებით, ასევე - FM, AM და მოკლეტალღური რადიო დიაპაზონებით. გააჩნია მრავალენოვანი საიტი, მთავარი მიზანი მსოფლიოს მასშტაბით შეერთებული შტატებისათვის დადებითი იმიჯის შექმნაა.

1. ადგილობრივი (ლოკალური)
2. ნაციონალური
3. გეოპოლიტიკური

ეს იყო ლოკალური კონფლიქტის გაგრძელება, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიშვა აფხაზეთსა და საქართველოს შორის. საქართველოა არაორგანიზებული ხელისუფლების პერიოდში დაწყებული ლოკალური კონფლიქტი ეროვნულ ტერიტორიულ კონფლიქტად გადაიქცა რუსთსა და საქართველოს შორის, - ამბობს ქული. კონფლიქტი განსაკუთრებით გამწვავდა ვარდების რევოლოციის შემდეგ, როდესაც ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილი მოივიდა. ის ცდილობდა საქართველო მკვეთრად დასავლური ორიენტაციის გზაზე გადაეყვანა, რათა ქვეყანა რუსეთის გავლენისგან განთავისუფლებულიყო. შესაბამისად, ამ კონფლიქტიდან წარმოიქმნა რეგიონალური კონფლიქტი, სადაც ერთ მხარეს რუსეთია, ხოლო მეორე მხარეს საქართველო და დასავლეთი, ანუ ის ქვეყნები, რომლებიც საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციას უჭერდნენ მხარს. აგვისტოს ომის დასრულების შემდეგ მედვედევმა[36] ისაუბრა საქართველოსა და რუსეთის გავლენის სფეროებზე რეგიონში, სწორედ ამიტომაა ომი სწორედ ამ სამი ფაზის ერთობლიობა: ადგილობრივი-ნაციონალური- გეოპოლიტიკური.

ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გაფორმების პარალელურად, რუსეთი აგრძელებს საზღვრების თვითნებურად გადმოწევას. ქულის თქმით, ამგვარი მოძრაობა კონფლიქტის ახალი სახეობაა. ომის შემდეგ, რუსეთმა ტერიტორიების შესაერთებლად (სამხრეთ ოსეთის რეგიონში) მათი დამოუკიდებლად აღიარების პოლიტიკას მიმართა და ცდილობდა სხვა ქვეყნებსაც იგივე გაეკეთებინათ. შემდგომ პერიოდში რუსეთმა უკრაინის კრიზისის დროს იგივენაირად დაარღვია საერთაშორისო კანონმდებლობა, თუმცა ამ შემთხვევაში სხვადასხვა ქვეყნებმა, განსაკუთრებით კი პოსტ საბჭოთა, არ გაიზიარეს რუსეთის მიერ წამოწყებული აღიარების პოლიტიკა.

---

[36] **დიმიტრი მედვედევი** (რუს. Дмитрий Анатольевич Медведев; დ. 14 სექტემბერი, 1965) - რუსი პოლიტიკოსი, რუსეთის პრეზიდენტი 2008-2012 წლებში. რუსეთის პირველი ვიცე-პრემიერი 2005-2008 წლებში. ვლადიმერ პუტინის მესამე ინაუგურაციის დღეს უკვე მოქმედმა პრეზიდენტმა წარადგინა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე.

რუსეთის საოკუპაციო ზოლის გადმოწევის მთავარი მიზანი იყო ნავთობის მილსადენის დაუფლება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს. ამ მილსადენის კონტროლით რუსეთს სურს დაიკავოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სტრატეგიული ობიექტები. ქულის აზრით, ეს საკმაოდ დიდი საფრთხეა. რუსეთი აანალიზებს და იცის, რომ მისი ქმედებები უსამართლოა, თუმცა ეს მეტწილად უკრაინის კრიზისისგანაა გამოწვეული, სადაც რუსეთს სურს პირდაპირ ჩაერიოს უკრაინის საქმეებში, შეიჭრას პოსტ-საბჭოთა სივრცის ნაწილში და „თავისი წესრიგი დაამყაროს".

ალექსანდერ ქულის თქმით, საქართველოს ტერიტორიიდან რუსი ჯარიკაცების გაყვანა რთული იქნება. საქართველოს რისი გაკეთებაც შეუძლია ისაა, რომ არ აჰყვეს რუსეთის პოლიტიკას, არ ჰყავდეს მხარდამჭერი ძალები და გააგრძელოს რუსეთის ძალისმიერი პოლიტიკის გასაჯაროვება საერთაშორისო დონეზე. ასევე საქართველო არ უნდა აჰყვეს პროვოკაციულ ქმედებებს, რათა არ გამოიწვიოს კონფლიქტის ესკალაცია.

ალქსანდრ ქულმა კარგად იცის, რომ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი 2008 წელს არ დაწყებულა და მას ბევრად დიდი ისტორია და წინაპირობები გააჩნდა. ქულს ჩმოყალიბებული აქვს ომის მიზეზი, მიზანი და შედეგი და რუსეთის ქმედებს სამართლებრივი ნორმების დარღვევას უწოდებს. ასევე განხილული აქვს სამომავლო რისკები, რაც შეიძლება საქართველოს შეექმნას და მათი თავიდან აცილების გზები.

პარაგრაფი IV

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი უცხოურ ბეჭდვით მედიაში

ZEIT[37]

გამოქვეყნდა 2009 წლის 30 სექტემბერას 10:47 საათზე

რუსეთ-საქართველოს შორის ხუთდღიან ომზე ჩატარებულია გამოძიება და დაწერილია 900 გვერდიანი მოხსენება. სsქართველომ ერთი წლის წინ კავკასიაში ომი დაწიყო. 2008 წლის ზაფხულში კავკასიის ომზე გამოძიების მოხსენების თანახმად, საქართველომ 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამე პირველი გასროლა განახორციელა, თუმცა რუსეთი თვეების განმავლობაში ცდილობდა ომის პროვოცირებას. შევიცარიელი დიპლომატის ჰეიდი ტალავინის მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით, ვერ დადასტურდა ის მტკიცებულება, რომ რუსეთმა პირველმა დაიწყო სამხედრო მოქმედებები. საქართველოს მთავრობამ დაიწყო სამხედრო ოპერაცია სამხრეთ ოსეთში, საერთაშორისო მანდატით განლაგებულ რუსი სამხედროების წინააღმდეგ. როგორც ტალიავინი აღწერს, რუსეთს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია კონფლიქტის ესკალაციის კუთხით. რუსეთის პროვაოკაციები საერთაშორისო ზეწოლის შედეგად ვერ შეაჩერეს. საგარეო საქმეთა მისისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინ მაიერი [38]ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ცდილობდა კონფლიქტში მონაწილე მხარეების დარწმუნებას დავის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად. საერთაშორისო სახოგადოება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს მიიჩნევს საქართველოს ნაწილად. 2008 წლის აგვისტოს 8 აგვისტოს ღამით ქართული ჯარი შეიჭრა სეპარატისტულ რეგიონში, სამხრეთ ოსეთში, რათა აღედგინა ქვეყნის ერთიანობა. თბილისსა და მოსკოვს შორის კონფლიქტმა ,,ცივი ომის“ დასრულების შემდეგ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კრიზისი და დიდი დაძაბულობა გამოწვია. საქართველოს ოპოზიციამ კი სააკაშვილის მთავრობა დაადანაშაულა ომის დაწყებაში და

[37] ***Die Zeit*** არის გერმანიის ეროვნული ყოველკვირეული გაზეთი, პირველი სტატია გამოქვეყნდა 1946 წლის 21 თებერვალს. დამფუძნებელი გამომცემლები იყვნენ: გერდ ბუჩერიუსი , ლოისი ჰენ ლორენზი , რიჩარდ თუნგელი და ევალდ შმიდტი დი სიმონი.

[38] **ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი** დაიბადა 1956 წლის 5 იანვარს. ის იყო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის 2005 წლიდან 2009 წლამდე. 2013 წლიდან 2017 წლამდე გერმანიის ვიცე-კანცლერი ე. იგი იყო 2016 წელს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისბ(ეუთო) თავმჯდომარე. 2017 წლიდან 19 მარტიდან არის პრეზიდენტი.

მისი გადადგომა მოითხოვა. მოსკოვსა და თბილისს დიპლომატიური ურთიერთობები არ აქვთ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ რუსეთმა რამოდენიმე ათასი სამხედრო მოსამსახურე დატოვა, რათა თავიდან აიცილოს ახალი თავდასხმა. გარდა ამისა რუსული საიდუმლო სამსახურის 1000-ზე მეტი მოსამსახურე უზრუნველყოფენ საზღვერბის დაცვას. ანალოგიურად, რუსეთის საზღვაო ფლოტი იგივენაირად არის განლაგებული ინციდენტების თავიდან ასაცილებლად.

ZEIT -იც Deutchland funk-ის მსგავსად თალიავინის აგარიშის მიხედვით ხელმძვანელობს მაგრამ ამასთან ერთად აღნიშნავს რომ რუსეთის მხრიდან ადგილი ქჰონდა კონფლიქტის პროვოცირებას, რაზეც საქართველო წამოეგო. სტატიაში მშრალადაა ინფორმაცია წარმოდეგნილი, არაა განხილული ომის წინაპირობები, კონფლიქტის სათავეები .

Hintergrund[39]

გამოქვეყნდა 09.10.2009 11:24 ზე

ევროკავშირის მოხსენება ადასტურებს, რომ საქართველომ 2008 წელს რუსეთთან ომი დაიწყო. საქართველოს თავდასხმა არ არის გამართლებული საერთაშორისო თავდასხმის მიხედვით. სტატიის ავტორია ნიალ გრინი, 2009 წლის 9 ოქტომბერი. ევროკავშირის გამოძიება მიმდინარეობდა 10 თვის განმავლობაში და მან დაადგინა რომ სქართველო იყო აგრესორი. კონფლიქტის შესახებ დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი კომისიამ **(IIFFNCG)** გამოაქვეყნა ანგარიში ფაქტების შესახებ, რომელიც შეიცავს 1000-ზე მეტ მტკიცებულებას. კომისია შეიქმნა ომის რეალური მიზეზების დასადგენად.

მოხსენებაში ნათქვამია: 7-8 აგვისტოს საქართველომ დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში. გამომძიებლების დასკვნის მიხედვით, საქართველოს მიერ ძალის გამოყენება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს,

[39] Hintergrund არის გერმანული ჟურნალი, რომელიც დაარსდა 1993 წელს. გამომცემელი და სარედაქციო პერსონალი დამოუკიდებელია. ინფომაციის ნახვა შედაძლბელია ინტერნეტის საშუალებითაც.

შეუძლებელია იმის დადასტურება, რომ ცხინვალის რეგიონში სარაკეტო და საარტილერიო საშუალებებით სროლა აუცილებლობას წარმოადგენდა. ცხინვალის პირველი დაბომბვისას ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, ნაწილი დაიჭრა. BBC-იმ და HUMan rights watch-მა წარმოადგინა მტკიცებულებები, რომ ქართული ჯარისკაცები განზრახ ესხმოდნენ თავს მშვიდობიან მოსახელობას და ანადგურებდნენ ცეცხლსასროლი იარაღით. ევროკავშირის მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ სამხრეთ ოსეთში რუსი სამშვიდობოების თავდასხმები არ იყო გამართლებული. დასკვნები არა მხოლოდ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მისი მთავრობის ბრალდებებს უარყოფს, არამედ მისი მხარდამჭერებისასაც ვაშინგტონში. მოსკოვის მოულოდნელ რეაქციას სწრაფი გამოხმაურება მოჰყვა ვაშინგტონიდან. ვიცე პრეზიდენტმა დიკ ჩეინმა განაცხადა, რომ რუსული აგრესია არ უნდა დარჩეს უპასუხოდ. მან დასძინა, რომ რუსეთის სამხედრო ოპერაცია დიდ გავლენას მოახდენს რუსეთსა და აშშ-ს ურთიერთობებზე. იგივ ეგანცხადება გააკეთა პრეზიდენტობის კანდიდატმა ბარაკ ობამამ და რუსეთს აგრესორი უწოდა, როგორც ეს ბუშის ადმინისტრაციამ გააკეთა, რომელმაც მხარი დაუჭირა საქართველოს და განაცხადა რომ ეს იყო მხოლოდ თავდაცვა.

ვაშინგტონ პოსტის 9 აგვისტოს ნომერი გამოვიდა შემდეგი სათაურით ,,შეაჩერე რუსეთი“, რედაქტორებმა დაადანაშაულეს რუსეთის სწრაფვა კავკასიაში ჰეგემონიისთვის და შემდეგ მოუწოდეს აშშ-სა და ნატოს არ დაუშვან რუსეთის ამგვარი ქმედებები. ორი დღის შემდეგ კონსერვატორმა რობერტ კაგანმა იმავე გაზეთში კომენტარი გააკეთა ჩეხო-სლოვაკიის 1938 წლის ნაცისტურ შეჭრაზე და შეადარა საქართველოში რუსეთის ქმედებებს.

Welt[40]

ყოფილმა დიპლომატმა რონალდ ასმუსმა ჩაატარა დეტალური კვლევა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომზე. 1957 წელს დაბადებული ყოფილი ამერიკელი

[40] **Welt** არის გერმანიის ყოველდღიური გაზეთი რომელიც დაარსდა 1946 წელს ქალაქ ჰამბურგში.

დიპლომატი და გერმანიის მარშალის ფონდის ამჟამინდელმა წარმომადგენელმა მნიშვნელოვანი წიგნი დაწერა, რომელიც მალე ხელმისაწვდომი ქინება 4 ენაზე. ის ამობს: ,, ჩემი გზავნილი გერმანიაში არ იქნება პოპულარული". ეს წიგნი ამტკიცებს, რო 2008 წლის აგვისტოში, რუსული ინტერვენცია ,,არა მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული, არამედ დასავლეთის წინააღმდეგ უფრო ფართო გაგებით". თუ დასავლეთისა და ევროკავშირის ინტერესებს გავითვალისწინებთ აღმოსავლეთ ევროპაში აშკარა იქნება ინტერესთა კონფლიქტი რუსეთის ხელმძღვანელობისადმი. ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ უკრაინაში, რუსეთი ცდილობს ხელი შეუშალოს მის განვითარებას, ასევეა საქართველოს შემთხვევაშიც. ასმუსი წერს, რომ რუსულ-ქართული ომი რუსეთის ამ პოლიტიკის კულმინაციაა. მოსკოვმა 40 000 რუსი ჯარისკაცის გადაადგილება გამოაცხადა ჰუმანიტარულ მისიად, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მიზნით. თუმცა აღნიშნული ემსახურებოდა აშკარა ინტერვენციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. გერნამიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა წამოაყენა ინიციატივა რათა მშვიდობიანად მოგვარებულიყო შექმნილი დაძაბული მდგომარეობა ქართულ მხარესა და სეპარატისტებს შორის. საქართველოს პრეზიდენტმა მიეხეილ სააკაშვილმა ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე პრეზიდენტ მედვედევთან სცადა მოლაპარაკება, როდესაც სააკაშვილმა თქვა ,,სიტუაცია უფრო რთულია", მედვედევმა უპასუხა ,,ბევრად უფრო გაუარესდება". იმის მიუხედავად რომ პეკინში იყო ოლიმპიური თამაშების გახსნა, კავკასიაში დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი, რომელის შედეგადაც 100 000-ზე მეტი ადამიანი გახდა ლტოლვილი. პირველი თავდასხმა განახორციელეს ქართველებმა, თუმცა მანამდე ადგილი ჰქონდა სეპარატისტების მიერ პროვოკაციებს. რუსი სამხედრო ექსპერტი ამბობს: ,,მიუხედავად იმისა, რომ შეტევა ქართველებმა დაიწყეს, რუსეთის მიზანი იყო საქართველოს მთავრობის განადგურება და ნატოში გაწევრიანების აცილება." ასმუსი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში სახელმწიფო მდივნის მოადგილე იყო, რომელიც ჩართული იყო ევროკავშირის გაფართოებაზე. მას შემდეგ რაც ის ყოფილი დიპლომატია ღიად შეუძლია დაწეროს ამ მოვლენების შესახებ.

Welt-ის სტადია გამოქვეყნებულია რონალდ ასმუმის კვლევაზე დაყრდნობით, მან ჩაატერა დეტალური კვლევა და არგუმეტირებულად ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ 2008 წლის ომის დაიწყო რუსეთმა და არა საქართველომ.

Lexpress.fr[41]

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი

ორ ქვეყანას შორის ომის დაწყებამდე ორი დღის ადრე რუსეთსა და საქართველოს შორის გამძაფრდა სიტყვების ომი. ამჯერად მოსკოვი შეერთებულ შტატებს ადანაშაულებს თავისი ქართველი მოკავშირის აგრესიისაკენ წახალისებაში. რუსეთი საქართველოს დაემუქრა, რომ რომ გამოიყენებს ძალას მის წინააღმდეგ თუ იგი თავს დაესხმება სამხეთ ოსეთს და მის მოსახლეობას. თანდათანობით იკვეთება ახალი კონფლიქტის რეალური რისკი პირობთდ „ნერვების ომი“

მოსკოვში რუსეთ-აშშ-ს სამიტის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე რუსთის არმიამ საქართველოს საზღვართან განაგრძო სამხედრო წვრთნები, რამაც ოფიციალური თბილისის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ქვეყნებს შორის მოლაპარაკებები დეკემბრის თვეში მიმდინარეობდა ქალაქ ჟენევაში ევროკავშირის გაეროსა და ეუთოს ეგიდით. თუმცა ამის მიხედავად ომი მაინც დაიწყო. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონის ჩრდილოეთით საქარელომ 8 აგვიტოს პარასკევს საქართველომ შეტევა დაიწყო, რამაც რუსეთს მეზობელთან კონფლიკტისკენ გზა გაუხსნა. პრორუსული სეპარატისტების დაცვის საბაბით კრემლი იწყებს სამხედრო ოპერაციას საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ.

Lexpress- სს 2008 წლის ომზე მოკლე სტატია აქვს გამოქვეყნებული, რომელშიც არც ომის წინაპორობებია ნახსენეი და არც მისი მიმდინარეობდა და არც შედეგი, თუმცა

[41] https://www.lexpress.fr ***L'Express*** (ფრანგული გამოთქმა: lɛkspʁɛs]) არის ფრანგული ყოველკვირეული ჟურნალი. სათაო ოფისი პარიზში მდებარეობს. შეიქმნა 1953 წელს ჟან-ჟაკ სერვან-შრაიბერი და ფრანსუაზ გიროუდის მიერ.

გამოკვეთილია ის ფაქტი რომ ომი რუსეთმასურდა ომის დაწყება, რის გამოც მოახდინა მეზებელი ქვეყნის პროვოცირება და შემდგომ საკუთარი მოქალაქეების დაცვის საბაბით (საბაბით და არა მიზეზით) საიწყო სამხედრო მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ,

Liberation FR[42]

გამოწყეყნდა 2008 წლის 8 აგვისტოს 07:00

საქართველოში ომი იწყება

7:30 სთ-ზე რუსეთის ელჩმა შეერთებული შტატების ბრალდებებს აბსოლიტურად მიუღებული უწოდა, რომლის მიხედვითაც რუსი სამხედროები საქართველოში ტერორს ეწევიან. გაეროში რუსეთის ელჩმა ვიტალი ჩურკინმა ამერიკას შეახსენა თავისი ქმედებები ერაყში, ავღანეთში და სერბეთში. საპასუხოდ, აშშ-ს ელჩმა ზალამი ხალილზადმა ცოტა ადრე განაცხადა, რომ ამერიკა გმობს რუსეთის აგრესიას და მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს. ხალილზადმა ასევე გააფრთხილა მოსკოვი შესაძლო შედეგებზე, რაც მოყვებოდა საქართველოსთან კონფლიქტს.

18:45- კვირას, რუსეთმა მოუწოდა საქართველოს გაიყვანოს თავისი ჯარი სამხრეთ ოსეთიდან ნებისმიერი დისკუსიის დაწყებამდე.

17:35- გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ ვოლტერ შტაინმაიერმა რუს და ქართველ კოლეგებს მოუწონდა მოლაპარაკებისკენ.

[42] https://www.liberation.fr ყოველდღიური ფრანგული გაზეთი, რომელიც დაარსდა 1973 წელს პარიზში. Serge july-სა და jean paul sartre-ს მიერ. 6-7 წლის განმავლობაში გაზეთს საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა ფრანგულ პრესაში. იმის გამო, რომ უარი განაცხადა ფასიან რეკლამებზე. ჟურნალს ბოლო გვერდე უფასო რეკლამის ადგილიც კი ჰქონდა გამოყოფილი.

5:30 PM რუსეთი არ აპირებს საქართველოს დაპყრობას, განუცხადა CNN-ს ალექსანდრე დარჩიევმა. კვირას რუსების მიერდაიბომბა დედაქალაქის მახლობლად მდებარე სამხედრო აეროპორტი.

5:05 რუსეთი განაგრძობს საომარ მოქმედებებს სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში.

4:40 რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს სამხედრო ქმედებას გენოციდი უწოდა. მისი განცხადებით აგრესიის სამიზნე იყვნენ რუსი მოქალაქეები და სამშვიდობოები. აღნიშნული განცხადება გააკეთა რუსულ სააგენტოებზე დაყრდნობით.

4:30 კვირას საქართველომ მოუწოდა რუსეთს ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკებისკენ. საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით ოფიციალური თბილისი მზადაა ცეცხლი შეწყვიტოს და დაიწყოს მოლაპარაკებები.

16:08 დაიღუპა ორი ჟურნალისტი სამხრეთ ოსეთში- გიორგი ჩიხლაძე და ალექსანდრე კლიმჩუკი. ჩიხლაძე ნიუს ვიკის [43](news week) ჟურნალისტი იყო, კლიმჩუკი კი ფოტოგრაფი.

15:05 თეთრი სახლის განცხადებით სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შესახებ აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ტელეფონით ისაუბრა ფრანგ კოლეგა ნიკოლას სარკოზისთან. ორივე პრეზიდენტი თანხმდება ცეცხლის შეწყვეტის აუცილებლობაზე და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე. განაცხადა თეთრი სახლის სპიკერმა გორდონ ჯონდროემ, (Gordon Johndroe).

12:30 თემურ იაკობაშვილის განცხადებით დაბომბილია ქალაქი ზუგდიდი.

10:38 რუსულმა არმიამ სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალზე კონტროლი დაამყარა. განუცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა რატიშვილმა AFP[44]-ს.

---

[43] https://www.newsweek.com/ ***Newsweek*** არის ამერიკულიყოველკვირეული საინფორმაციო ჟურნალი. დაარსდა 1933 წელს

10:10 საქართველომ სამხრეთ ოსეთიდან დაიწყო ჯარის გამოყვანა, რუსეთმა კი მოახდინა საზღვაო ბლოკადა რათა ხელი შეეშალა იარაღის მიღებისთვის და გააგრძელა საჰაერო დარტყმები საქართველოს ტერიტორიაზე.

6:21 პანგიმუნმა გაეროს (გაერთიანებული ერების ორგანრგანიზაცია) გენერალურმა მდივანმა შაბათს დაუყოვნებლივ მოუწოდა ორივე მხარეს საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და კონფლიქტის მოლაპარაკების გზით მოგვარებისკენ.

8:00 PM საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ეკა ტყეშელაშვილის განცხადებით საქართველო რუსეთის შემოჭრის საფრთხის წინაშეა და საჭიროებს სასწრაფო გადაუდებელ დახმარებას.

5:50 PM მიხეილ სააკაშვილმა თავის რუს კოლეგას მოუწოდა ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკებების დაწყებისაკენ. რუსული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით მათ ეს განცხადება არ მოიღიათ თბილისისგან.

17:20 ბალტიისპირეთის ქვეყნების(ლიტვა, ლატვია ესტონეთი) პრეზიდენტები მოუწოდებენ ევროკავშირსა და ნატოს იმოქმედონ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. პრეზიდენტების განცხადებით რუსეთის ფედერაციამ გადაკვეთა წითელი ხაზი კონფლიქტის ზონაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში.

3:50 შვედეთის დიპლომატიის ხელმძღვანელმა კარლ ბილდტმა უარყო რუსეთის არგუმენტები სამხრეთ ოსეთში შეჭრის შესახებ. არაა გამართლებული სხვა სახელმწიფოზე თავდასხმა საკუთარი მოქალაქეების დასაცავად.

---

[44]https://www.afp.com/en **Agence France-Presse** (**AFP**) არის საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო, რომელიც პარიზში , საფრანგეთში მდებარეობს. დაარსდა 1835 წელს, როგორც Agence Havas , ეს არის მსოფლიოს უძველესი საინფორმაციო სააგენტო. AFP- ს რეგიონალური შტაბი აქვს ნიქოზიაში , მონტევიდეოში , ჰონგ-კონგში და ვაშინგტონში და საინფორმაციო ბიურო აქვს 151 ქვეყანაში 201 ლოკაციითქვეყანაში. AFP ავრცელებს ისტორიებს, ვიდეოებს, ფოტოებს, გრაფიკებს ფრანგულ , ინგლისურ , არაბულ, პორტუგალიურ , ესპანურ და გერმანუ ენებზე .

3;00 შაბათს საქართველომ დაადასტურა რომ კოდორში მიმდინარეობს რუსეთის სამხედრო ოპერაცია რათა მოხედეს აამ რეგიონთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზის დაზიანება. აფეთქებები განხორციელდა რუსული თვითმფრინავების მიერ მანამდე კი აფხაზი სეპარატისტები თავს დაესხნენ ქართველებს.

14:50 რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ტელეფონით ისაუბრა აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან სამხრეთ ოსეთში არსებული სიტუაციის შესახებ. სამხედრო ოპერაცია ითვალისწინებდა კოდორის ხეობიდან ქართული ჯარის გაყვანას, განაცხადა აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა.

11:50 საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაადასტურა 1500 სიკვდილიანობის შმეთხვევა და განაცხადა, რომ ,,პრაქტიკულად მშვიდობიანი მოქალაქეები არ დაღუპულან. ასევე სააკაშვილმა განაცხადა რომ რუსების მიერ დაიბომბა რამოდენიმე ქართული ქალაქი.

9:50 რუსეთის არმიამ განაცხადა რომ სამხრეთ ოსეთის დედააქალაქი ცხინვაალი ,,გათავისუფლდა“.

8:08 რუსულმა ავიაციამ სრულიად გაანადგურა საქართველოს ფოთის პორტი.

8:00 რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა რომ სეპარატისტულ რეგიონში მიმდინარეობს რუსული სამხედრო ოპერაცია მშვიდობის დასამყარებლად.

5:18 ჩინეთის მოუწოდებს რუსეთსა და საქართველოს მოუწოდებს ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკებებისკენ.

1:56 გაეროს უშიშროების საბჭო გეგმავს შეხვედრას განაახლოს კონსულტაციები ესკალაციასთან დაკავშირებით ნიუი-იორკში დაგეგმილ შეხვედრაზე.

7:07 საპარატისტული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის განცხადებით საქართველოს თავდასხმის შედეგად სამხრეთ ოსეთში 1400 ადამიანი დაუღუბა

18:09 PM აშშ-ს საპრეზიდენტო კანდიდატი ბარაკ ობამა მკაცრად გმობს საქართველოში ძალადობას და რუსეთს მოუწოდებს კონფლიქტის დაუყოვნებლივ შეწყვეტისკენ.

18:03 ჯონ მაკკეინი რესპუბლიკური პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი, რუსეთს მოუწოდებს ,,დაუყოვნებლივ და უპირობოდ შეწყვიტოს სამხედრო მოქმედებები".

17:57 რუსული ავიაციის მიერ მარნეულის დაბომბვას შეეწირა რამოდენიმე ქართველი ჯარისკაცის სიცოხცლე. აღნიშნულზე განცხადება გააკეთეს საქართველოს ოფიციალურმა პირებმა.

17:32 რუმინეთის თავდაცვის მინისტრმა თეოდორ მელეშანუ მოუწოდამ ხარეეებს მშვიდობიანად მოაგვარონ კონფლიქტი.

7:12 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა ადეიშვილმა განაცხადა, რომ ქართველმა სამხედროებმა ხუთი რუსული ტვითმფრინავი ჩმოაგდეს.

4:25 ოფიციალურიმა ლონდომა მოუწოდა მხარეებს ცეხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკებებისკენ.

4:08 ედუარდ კოკოითმა რუსულ სააგენტო ინტერფაქსზე დაყრდნობით განაცხადა, რომ დაიღუპა სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ათასობით მოქალაქე.

3:24 რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით ცხინვალში დაიღუპა ათზე მეტი რუსი სამშვიდობო, საქრთველოს თავდასხმის შედეგად.

3:19 რუსეთის საგარეო საქმეთა მინიტსრის სერგეი ლავროვის განცხადებით სამხრეთ ოსეთში ფიქსირდება ეთნიკური წმენდა.

2:57 საქათველოს პრეზიდენტმა მიხელ სააკაშვილმა cnn სთან ინტერვიუში განახადა, რომ საქარველოს წინაღმდეგ რუსეთის ქმედებები თუ დაუსჯელი დარჩება „მსოფლიოს ექნება პრობლემები"

14:40 შოთა ადეიშვილის განცხადებით ცხინვალი მთლიანად ქართველთა კონტროლის ქვეშაა.

14:33 საქართველოს სინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებიტ ქართველებმა ჩამოაგდეს ორი რუსული სამხედრო თვითმფრინავი.

2:30 საქარტველოს საგარეო საქმეთან მინისტრმა bbs ტან განაცხადა, რომ საქართველო მიმართვას საერთასორისო თანამეგობრობას შეაჩეროს რუსეთის „პირდაპირი სამხედრო აგრესია“ მის ტერიტორიაზე.

14:26 რუსული ავიაცია ბომბავს ვაზიანის სამხედრო ბაზას.

14:15 AFP-ის ჟურნალისტის განცახდებით მან დაინახა 50 ტანკი და მძიმე ტექნიკა, რომელიც ვლადიკავკასიდან ჩრდილოეთ ოსეთის გავლით სამხრეთ ოსეთისკენ მიემართება.

13:53 გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი კონფლიქტის მხარეებს მოუწოდებს ყველანაირი ძლადობის შეწყვეტისა მაქსიმალური თავსეკავებისკენ.

1:53 იგივეს მოუწოდებს მხარეებს საფრანგეთი

1:05 რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის განცახდებით რუსეთი არ დაუსვებს სამხრეთ ოსეთში თანამემამულეთა სიკვდილს დაიცავს მათ.

11:46 წილეთი ჯვრის საეთაშორისო კომიტეტი ითხოვს „ჰუმანიტარული კორიდორის“ გახსნას რათა მოხდეს და დაშავებულთათვის გადაუდებელი დახმარების გაწევა.

11:13 ნატოს გენერალური მდივანი მოუწოდებს მხარეებს დაუყოვნებლად შეწყვიტონ შეტაკებები და დაიწყონ მოლაპარაკება.

11:00 რუსეთმა უარყო, რომ მისი საჰაერო ზალები თავს დაესხნენ საქრთველოს. როგორც ამას თბილისი ამტკიცებს.

ხუთშაბათს ღამით საქაღტველომ სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალზე „თავდასხმა“ განახორციელა.

22:54 სამხრეთ ოსეთში საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა „ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა“ – AFP -ს განუცხადა სეპარატისტული რეგიონის ქართული სამსვიდობო ძალების ხელმძღვანელმა.

22:51 ხუთშაბათი. სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალის მახლობლად დაიწყო შეტაკებები ქართველებსა და ოს სამხედროებს შორის. ამის სესახებ :ინტერფაქსთან“ განაცხადა ედუარდ კოკოითმა.

Liberation - კონკრეტულად არ ასახელებს იმას თუ რომელმა მხარემ დაიწყო ომი, თუმცა ზემოდთ წარმოდეგენილი მედიასაშუალებებისგან განსხვავებით დეტალურად აქვ გაშუქებული მიმდინარე მივლენები როგორც ომის დაწყებამდე ის ომის დაწყების პირველ ეტაპზე. (წუთებისა და წამების სიზუსტით)

იქიდან გამომდინარე, რომ სტატია 8 აგვიტოსაა გამოქვეყნებული 2008 წლის ომის მიმდინარეობა და მისი შედეგები არაა წარმოდგენილი. ძირითადად წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყბის გავლენიანი პოლიტიკოსების განცახდებები, რომებიც მხარეებს მოუწოდებენ მოლაპარაკებებისჯენ და გმობენ რუსეთის სამხედრო ქმედებებს საქართველოს ტერიტორიაზე.

პარაგრაფი V

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის უცხოური ინტერნეტრესურსებივებ გვერდები, ბლოგერები და ცალკეული ჟურნალისტები

ამერიკელი ჟურნალისტის ალექს ლუჰნის [45]სტატია

გამოქვეყნდა 2018 წლის 7 აგვისტოს 8:07 საათზე

საქართველო ბრალს სდებს რუსეთს ანექსიაში. საპასუხოდ, რუსეთმა გააფრთხილა საქართველო, რომ დასავლეთთან და ნატოსთან დაახლოება მას კარგს არაფერს მოუტანდა. თბილისში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთი ახორციელებს ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებს, რომელშიც მონაწილეობს ათასობით ჯარისკაცი და ასობით ჯავშან-ტექნიკა. კონფლიქტის შემდეგ ათწლეულში მოსკოვმა არ შეასრულა ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულება, რომელიც გაფორმდა ევროკავშირის შუამავლობით და გააფართოვა სამხედრო კონტიგენტი სეპარატისტულ რეგიონებში. ხუთდღიანი ომი დაიწყო მაშინ, როდესაც საქართველომ სამხრეთ ოსეთში სეპარრატისტები გაანადგურა. მოკავშირეებმა, მათ შორის, აშშ-მ თავი შეიკავა კონფლიქტში ჩარევისგან, მხოლოდ რუსეთმა და რამდენიმე ქვეყანამ აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ნატო დაპირდა საქართველოს, რომ ერთ დღეს შესძლებს ალიანსში მის გაწევრიანებას, ეს კი რუსეთის დიდ უკმაყოფილებას იწვევს. გასულ თვეში ოფიციალურმა მოსკოვმა განაცხადა, რომ რუსეთი დაუყოვნებლივ უპასუხებს ნატოს ნებისმიერ სამხედრო ქმედებას, რომელიც მის საზღვართან ახლოს მოხდება. მან ნატო გააფრთხილა იმაზე თუ რა შედეგები მოყვებოდა ურაინისა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ ეს არი ტრაგედია და რუსეთს მოუწოდა გამოიყვანოს სამხედრო ძალები საქართველოს ტერიტორიიდან.

ევროსაპჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა განაცხადა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. 2008 წლის ომის დროს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსულ „ნოვაია გაზეტას“

---

[45] **ალექს ლუჰინი** არის ამერიკელი ჟურნალისტი. მისი სტატიები იბეჭდება შემდეგ ჟურნალებში Guarfian, Time, New York Time, maxim, vice-ეს ახალი ამბები. The independent, The nation. 2008 წლის აგვისტოს ომის გარდა გაშუქებული აქვს 2014 წლის უკრიანის რევოლუცია, ოპოზიციის საპროტესტო აქციები რუსეთში და ბელორუსიის არჩევნები.

განუცხადა, რომ კონფლიქტის შემდეგ პუტინმა საქართველოში დასახული მიზნების ორი-მესამედი ვერ შეასრულა. საქართველო განაგრძობს ევროკავშირისკენ სწრაფვას, განაცხადა მან.

„სამხრეთ ოსეთი დღეს“, «Южная Осетия сегодня»[46]

საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო

ევროკავშირის ეგიდით საერთაშორისო კომისიამ გამოიძია 2008 წლის აგვისტოს ომი. კომისიამ, რომელსაც შვეიცარიელი დიპლომადი ჰეიდი ტალიავინი ხელმძღვანელობდა გამოძიების მასალების საფუძველზე ომის მომზადებისა და მისი დაწყების ყველა საკითხის შესწავლის შემდეგ დასკვნა რომ ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები დაიწყო 8 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვით. იმის მიუხედავად რომ საქართველოს მმართველი ელიტა და მისი დასავლელი პარტნიორები არ ეთანხმებიან ტალიავინის კომისიის დასკვნას, ქვემოთ მოყვანილი მასალები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომზე პასუხისმგებლობა საქართველოს ხელისუფლებას ეკისრება.

ტალიავინის თქმით, 2008 წლის 7 აგვისტოს ღამით საქართველოს მხრიდან ქალაქ ცხინვალზე დაიწყო უწყვეტი დაბომბვების სერია ცხინვალსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. 7 და 8 აგვისტოს საქართველოს მხრიდან ძალის გამოყენება იყო საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა. კონფლიქტის საწყის ეტაპზე საქართველოს მიერ რუს სამშვიდობეობზე ძალის გამოყენება გაუმართლებელია. მისიამ

[46] https://south-ossetia.info/ **«Южная Осетия сегодня»** სამხრეთ ოსეთის საინფორმაციო სააგენტო ფინანსდება სამხრეთ ოსეთის პეზიდენტისა და მთავრობისგან .

ვერ დაადასტურა საქართველოს ხელისუფლების განცხადებები იმის შესახებ, რომ თავდასხმის დაწყებამდე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალები, კერძოდ 7-დან 8 აგვისტომდე.

ედუარდ შევარდნაძე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი

,,აგვისტოს მოვლენები საუკეთესოდ ტალიავინის კომისიის მიერ იყო შეფასებული. მე ასევე მჯერა მისი დასკვნაც რადგან კომისია დაკომპლექტებულია სპეციალისტების, პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსებისაგან. მათი გაცხადება ნათელი და გასაგები იყო, პირველი ტყვია ქართულმა მხარემ გაისროლა“.

,,აგვისტოს ომის დაწყება დანაშაული იყო, ხალხს არ სურდა ომი, ომი სურდა მხოლოდ პოლიტიკოსთა მცირე ნაწილს.“

ნინო ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის ყოფილი სპიკერი

2009 წლის 11 აგვისტოს პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ ყოველკვირეულ გამოცემა ჟურნალ ,,ასავალ-დასავალს“ განუცხადა, რომ 2008 წლის 3 ამგვისტოს, მიხეილ სააკაშვილმა თავისი სამხედრო გეგმები გააცნო, რომლის მიხედვითაც ცხინვალში ოპერაცია ღამით უნდა დაწყებულიყო. ბურჯანაძესა და სააკაშვილი შეხვედრა დაახლოებით საათი და 20 წუთი გაგრძელდა. ბურჯანაძეს თქმით ეს გეგმა არ იმუშავებდა და სააკაშვილს უთხრა, რომ რუსეთთან ომი კატასტროფით დასრულდებოდა, ცხინვალის დაკავება პრობლემის მოგვარებას არ ნიშნავდა, ამ ნაბიჯით საქართველო აფხაზეთს სამუდამოდ დაკარგავდა, რაზეც სააკაშვილი თანახმა იყო.

ეროსი კიწმარიშვილი, საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში

კიწმარიშვილი 2008 წელს დაინიშნა რუსეთის ელჩად. მისი თქმით სააკაშვილმა ირად საუბრებში განაცხადა, რომ ამ წლის აგვისტოს სოხუმი საქართველოს დედაქალაქი გახდებოდა, ,,ეს ნიშნავდა სოხუმის ძალით დაკავებს, რამაც ჩემი პროტესტი გამოიწვია“. ოპერაცია მაისის ბოლოსთვის იგეგმებოდა, თუმცა შემდეგ გაუქმდა. რაც შეეხება ოსეთის

ოპერაციაში ვაშინგტონის ჩართვას, ეროსი კიწმარისვილმა მიხეილ სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის წრეზე დაყრდნობით განაცხადა: ,,აშშ-ს ხელისუფლებამ საქართველოს მწვანე შუქი აუნთო, სამხრეთ ოსეთში ოპერაციების ჩასატარებლად.“

ცოტნე გამსახურდია, პირველი პრეზიდენტის ვაჟი

როდესაც ვსაუბრობთ,, ეთნიკური წმენდის, გენოციდის შესახებ, აუცილებელია იმის განსაზღვრა თუ ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი ამ სისხლისთვის. მართალია ის ფაქტი რომ ჩვენ დავბომბეთ ცხინვალი.

ბუნებრივის სამხრეთ ოსეთის ოფილიალური საინფორმაციო სააგენტო საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე რუსეთს არ დაადანაშაულებს ომის დაწყებაში და აპელირებს ტალიავინის მოხსენებაზე, რომლის მიხედვითაც ქათველ სამხედროთა თავდასხმა რუს სამშვიდობოებზე საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა იყო. ასევე სტატიაში წარმოდგენილია გავლენიანი ქართველი პოლიტიკოსების ინტერვიუები, რომლებიც სავე საქართველოს ადანაშულებენ ომის დაწყებაში. რაც უფრო განამტკიცებს «Южная Осетия сегодня» იას პოზიციას. როდესაც საკუთარი მოქალაქეები ადანაშაულებენ საკუთარ ქვეყანას, თანაც არგუმენტებით უფრო მეტად სანდოდ და რეალურად წარმოსადგენია.

ICCEES ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის საერთაშორისო კვლევის საბჭო

გამოქვეყნდა 2010 წლის 26-31 ივლისს

ვინ დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი?

ამ ანგარიშში განხილულია სამი ავტორიტეტული ჟურნალისტის დასკვნები ომთან დაკავშირებით, რომლებიც მედვედევ-პუტინის რეჟიმის ოფიციალურ მოსაზრებას აპროტესტებენ იმის შესახებ რომ ომი საქართველომ დაიწყო. ამ სამი ჟურნალისტიდან

ერთ-ერთია ანდრეი ილარიანოვი,[47] რომელიც 2000-2005 წლებში პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ვლადიმერ პუტინის მთავარ ეკონომიკურ მრჩევლად მუშაობდა. პაველ ფელგენგაუერი წამყვანი სამხედრო ჟურნალისტი, რომელიც კვირაში სამჯერ წერს ,,ნოვაია გაზეტაში". იულია ლატინინა კიდევ ერთი გავლენიანი ჟურნალისტი, რომელიც რეგულარულად აქვეყნებს სტატიებს ნოვაია გაზეტაში, ვებ-გვერდებზე eg.ru და gazeta.ru, რომელიც ასევე მასპინძლობს მოსკოვის პოპულარულ ყოველკვირეულ პროგრამას ,,ეხო მოსკოვს". რუსეთი პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა თეთრ სახლში გამართა ერთობლივი პრესკონფერენცია პრეზიდენტ ობამასთან, სადაც აღიარა რომ მისი ქვეყანა და საქართველოს შორის არსებობდა უთანხმოება. მედვედევმა როგორც ადრე განაცხადა, 2008 წლის ომი საქართველოს ხელმძღვანელობის ინიციატივით დაიწყო. როგორც ქვემოთ დავინახავთ ილარიანოვმა, ფენგელგაუერმა და ლატინინამ რუსეთის პრეზიდენტის აღნიშნული განცხადება გაასაჩივრეს. 2009 წლის 30 სექტემბერს, შვეიცარიის ელჩი ჰეიდი ტალიავინი ხელმძღვანელობდა კომისიას რომელმაც კონფლიქტის შესახებ ვრცელი ანგარიში გამოაქვეყნა.

ილარიანოვის დასკვნები

ეჭვგარეშეა რომ აგვისტოს ომის ძირითადი მიზეზების ყველაზე მნიშვნელოვანი წილი რუსეთის მხრიდან არის ანდრეი ილარიონოვის მიერ ჩატარებული კოლოსალური კვლევა. განსაკუთრებით ღირებულია მოვლენების უკიდურესად დეტალური ქრონოლოგია, დოკუმენტური და ანალიტიკური მასალების შეგროვება, რომელიც ილარიონოვმა 2009 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ ,,კონტინენტში" და ელექტრონული ვერსია გამოიცა ჟურნალ ,,ჰოლარის" ვებ-გვერდზე. ილარიანოვმა ჯორჯ ჰოლის ვებ-გვერძე გამოყენებული

[47] **ანდრეი ნიკოლაევიჩ ილარიონოვი** დაიბადა 1961 წლის 16 სექტემბერს , ლენინგრადის ოლქში მდებარე სესტრორეცკში, არის რუსი პოლიტიკოსი და ეკონომისტი. წარსულში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის (2000-2005) მრჩეველი, რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე (1993-1994), ანალიზისა და დაგეგმვის ჯგუფის ხელმძღვანელი, იყო რუსეთის მთავრობის ეკონომიკური რეფორმების სამსახურის ცენტრის დირექტორის პირველი მოადგილე. არაკომერციულ ორგანიზაცია „ეკონიმიკური ანალიზის ინსტიტუტის" დამფუძნებელი და პრეზიდენტი.

ინფორმაცია შეაჯამა და ოთ ნაწილად გამოაქვეყნა სტატიაში, რომელიც 2009 წლის ივნისის ბოლოს გამოქვეყნდა ,,ნოვაია-გაზეტაში“.

ამ პუბლიკაციებთან ერთად 2009 წლის 20 თებერვალს ილარიონოვმა ,,livejournal.com“-ის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა კონფლიქტის წინა პერიოდში რუსული და ქართული მხარეების ქმედებების ქრონოლოგია, მაგალითად მან განაცხადა რომ რუსეთმა ჯერ კიდევ 2003 წლის 3 თებერვალს სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე შეიყვანა ტანკები, ხოლო საქართველომ იგივე გააკეთა 2008 წლის 7 აგვისტოს, გარდა ამისა ილარიონოვმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ინტერვიუ მისცა ეხო მოსკოვის რადიოს, სადაც მან კიდევ ერთხელ დაადასტურა განვითარებული მოვლენების თავისი ვერსია, მან ასევე ინტერვიუ მისცა აღნიშნულ საკითხზე რადიო ,,თავისუფლებას“.

ილარიონოვის განცხადებით აგვისტოს ომის წინ მომხდარი მოვლენები უნდა გამოვიკვლიოთ 1999 წლიდან, როდესაც რუსეთის პერმიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი გახდა. ამ წლიდან მოყოლებული ილარიანოვი ამტკიცებს რომ რუსეთმა სამხრეთ მეზობლის წინააღმდეგ შეიმუშავა ანექსიის გეგმა. მისივე თქმით, რუსეთმა არჩევანი გააკეთა სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების იარაღით ფართომასშტაბიან დახმარებაზე. 2004 წლის მაისიდან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთმა შეიყვანა 75 დამატებითი T 72 ტანკები, დიდი რაოდენობით იარაღი და თყვია-წამალი, რითაც კიდევ უფრო გააფართოვა მზადება ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებებისთვის. 2004-2008 წლებში რუსეთმა სამხრეთ-ოსეთში ჯავის მახლობლად ააშენა სამხედრო ბაზები, რომლებიც საერთაშორისო კონტროლის გარეშე არსებობდნენ. 2002 წლის მარტში სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა მიმართა თხოვნით რუსეთის ხელისუფლებას რომ აღიაროს რესპუბლლიკის დამოუკიდებლობა და მიიღოს იგი რუსეთის ფედერაციაში. 2008 წლის 13 მარტს რუსულმა სახელმწიფო დუმამ დახურულ სხდომაზე განიხილა რუსული საიდუმლო სამსახურისა და საგარეო საქმეთა სამინოსტროს მიერ მომზადებული ანგარიში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის მიღწევის სტრატეგიის შესახებ. 21 მარტს დუმამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია რომელიც მხარს უჭერს აღიარების

მოთხოვნას. ილარიონოვმა აღნიშნა რომ აგვისტოს ომის დროს სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრი იყო გენერალ-ლეიტენანტი ვასილი ლუნევი, სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებული. უშიშროების საბჭოს მდივანი და რესპუბლიკის თავდაცვის ყოფილი მინისტრი იყო გენარალ-ლეიტენანტი ანატოლი ბარანკევიჩი რუსეთის შორეული აღმოსავლეთის მკვიდრი, რომელიც ადრე ციმბირის სამხედრო ოლქში მსახურობდა. შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-მაიორი მიხაილ მინძაევი ადრე მუშაობდა FSB სპეციალური ძალებისა და ჩრდილოეთ ოსეთისა და ალანიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატის უფროსის მოადგილეთ. ბორის ატოევი-მუშაობდა მოსკოვში, FSBს ცენტრალურ ოფისში და იყო ყაბარდო-ბალყარეთის FSB-ს განყოფილეების ხელმძღვანელი. ძნელი წარმოსადგენია რომ მაღალი რანგის რუსი გენერლები მხარს არ უჭერდნენ ვლადიმერ პუტინის სურვილებს და რუსეთის უშიშროების წარმომადგენლებს.

ილარიონოვმა არაერთხელ აღნიშნა რუსული პასპორტების გაცემის საკითხი. 2002 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში რუსეთის მთავრობამ დაიწყო რუსული პასპპორტების გაცემა სამხრეთ-ოსეთის მოსახლეობაზე, (ისევე როგორც აფხაზეთსა და აჭარაში). 2002 წლის ივნისში რუსეთის პარლამენტმა მიიღო შესწორება რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ, რამაც ძლიერი პროტესტი გამოიწვია საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მხრიდან. 2003 წლის ბოლოს მომხდარი ვარდები რევოლუციის შემდეგ, რაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახდა ეს პროცესი უფრო გააქტურდა და გაძლიერდა. 2003 წლის აპრილის დასაწყისში როდესაც შევარდნაძე კვლავ პრეზიდენტი იყო სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 56%-მა მიიღო რუსული პასპორტები. 2006 წლის შუა რიცხვებისთვის კი ეს მაჩვენებელი 98%-მდე გაიზარდა.

ევროკაშირის ანგარიშში ტალიავინი[48] ამტკიცებდა რომ რუსული პასპორტიზაციის ეს პროცესი ფაქტობრივად ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართალს. ,,საჭიროა მკაფიო

[48] **ჰაიდი ტალიავინი** დაიბადა 1950 წელს ბაზელში. შვეიცარიელი დიპლომატი, რომელიც ცნობილია საერთაშორისო დახმარებისა და მშვიდობისმყოფელ მისიებში შეტანილი წვლილისათვის. იგი ხელმძღვანელობდა 2008 წლის საქართველო-რუსეთის საომარი კონფლიქტის ფაქტების შემსწავლელ საერთაშორისო დამოუკიდებელ კომისიას, რომელიც 2008 წლის 21 ნოემბერს შეიქმნა ევროკავშირის მიერ.

შეთანხმება ,,საქართველოს კანონი“ ჯერჯერობით არ აღიარებს ორმაგ მოქალაქეობას. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ოსეთისა და აფხაზეთის სავარაუდოდ ნატურალიზებული ადამიანების აბოსლიტური უმრავლესობა არ არის რუსეთის მოქალაქე.

კონფლიქტის დაწყების განხილვისას ილარიონოვმა აღნიშნა რომ 200 წლის ივნისში სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ შეიმუშავა გეგმა, რომელსაც ეწოდება ,,ოსური გენოციდი“. როგორც ჩანს, ამ გეგმის მიხედვით ოსების გენოციდი საქართველოს ბრალდება , როგორც კი საომარი მოქმდებები დაიწყება.

20 ივლისს საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდებზე კიბერ შეტევა დაიწყო. კონფლიქტის დროს ასეთი შეტევები კიდევ უფრო გააქტიურდა.

6 ივლისს ჩრდილოეთ ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქმა დაიწყო კავკასიის 2008 წლის სამხედრო სწავლება, „ რვა ათასი (8000) ჯარისკაცის, შინაგანი ჯარისა და FSB ოფიცრების მონაწილეობით. მათ შორის 700 ჯავშანტექნიკის, ასევე საჰაერო ძალებიდა და შავი ზღვის ფლოტის მხარდაჭერით . კონფლიქტის წინა დღეებში ილარიონოვმა დაწერა, რომ რუსეთმა რამდენიმე ნაბიჯი გადაგდა წინ რაც მიუთითებს იმას, რომ გადაწყვიტა კონფლიქტის პროვოცირება.

2 აგვისტოს ცხინვალში ჩმოსულმა რუსულმა სახელმწიფო ტელევიზიამ, რადიომაუწყებლობამ და გაზეთებმა დაიწყეს მზადება ჯერ არ დაწყებული ომის გასაშუქებლად. 7 აგვისტოს მათი რაოდენობა ორმოცდახუთი იყო. იყო მხოლოდ ერთი არარუსული ჟურნალისტი- უკრეინელი.

აგვისტოს პირველ კვირაში ილარიონოვმა ხაზი გაუსვა, რომ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ ოცო ათასზე (20 000) მეტი მოქალაქის ევაკუაცია მოახდინა. ამავდროულად, ჩრდილოეთ ოსეთში „ მოსახლეობისა“ და კაზაკების ოფიციალური მობილიზაცია დაიწყო და მათგან პირველმა რუსმა საქართველოს საზღვარი 4 ავისტოს

გადაკვეთა. ამ მოხალისეების უმრავლესობა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის მე-19 ქვეითი სამმართველოს ან ჩრდილოეთ ოსეთის სამშვიდობო ბატალიონს შეუერთდა.

ილარიონოვმა ასევე ყურადღება გაამახვილა ოსეთსი რუსული სამხედრო შენაერთების ფარულ შეღწევაზე. ამასთან ერთად, 2 აგვისტოს ცხინვალში მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც რუსეთის არმიის თავდაქცვის მინისტრის მოადგილე ნიკოლაი პანკოვი, რუსეთის არმიის 58-ე სამხედრო დაზვერვის და გენერალური მდივნის მოადგილე ანატოლი ხვრელევი დაესწრო. ასევე 530 რუსეთისა დასამხრეთ ოსეთის სამსვიდობო ძალების ორი გენერალი, ასვე სამხრეთ ოსეთის უშიშროების მაღალჩინოსნები და პრეზიდენტი კოკოითი. 3 აგვისტოს სამხრეტ ოსეთსი 42-ე მოტორიზებული მსროლელთა სადაზვერვო ბატალიონი ჩმოვიდა.

მეორე დღეს, 4 აგვისტოს, 58-ე სამხედრო ბატალიონის სამედიცინო ნაწილები და საკომუნიკაციო დანაყოფები ჩმოვიდნენ . ასევე რამდენიმე ჯავშანტექნიკა, როკის გვირაბის გავლით სამხრეთ ოსეთში 33- სპეცრაზმელთა სადაზვერვო ბრიგადის ორმოცსაარტილერიო და სადაზვერვო ბატალიონები.

6 აგვისტოს საღამოს ჩრდილოეთ კავკასიის ხელმძღვანელობა იმყოფებოდა ჯავაში, სამხრეთ ოსეთის რეგიონში. საბოლოოდ 7 აგვისტოს 3:41 და 3:52 საათზე რუსული ჯავშანტექნიკის კოლონა როკის გვირაბის გავლით გადავიდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

ილარიონოვმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ 2008 წლის სექტემბერში რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ ჯავშანტექნიკის კოლონი არსებობა დაედასტურებინა. მაგრამ ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს მ ხოლოდ რუსუ სამშვიდობოების შეცვლა იყო და მეტი არაფერი. კონტინენტური ჟურნლისტიკის მასალის დოკუმენტურ ნაწილსში ილარიონოვი აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთის ოფიციალური პირები და არაოფიციალური ვებ გვერდები, ისევე როგორც მრავალი რუსული გაზეთი როგორებიცაა „ კრასნაია ზვეზდა“ , „ ნეზავისიმაია გაზეტა“ ვჩერნი სარანსი“ „ გაზეტა იგუა “ არ

ადასტურებემ რუსული სამხედრო კონტიგენტის არსებობას სამხრეთ ოსეთსი ომის დაწყებამდე 7-8 აგვისტომდე.

ახლა განვიხილოთ ილარიონოვის კვლევის საკვანძო საკითხი : კერძოდ, თუ რომელმა მხარემ დაიწყო ომი ? !

1. 29 ივლისს სამხრეთ[49] ოსეთის შეირაღებულმა ძალებმა დაბომბეს ეთნიკურად შერეული სოფლები, რომლებიც ქართველთა კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნებ.
2. 5 აგვისტოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა მინძაევმა სოფელ ნულის განადგურების ბრძანება გასცა.
3. 6-7 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაიბრუნეს რამოდენიმე ეთნიკურად ქართული სოფელი ნულიც.
4. შეტაკებებისას დაშავდა ორი სამშვიდობო.
5. გამთენიისას გაძლიერდე დაბომბვის ინტენსივობა, რა დროსაც სამი ქართველი ჯარიკაცი დაშავდა.
6. სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს ქართველი სამშვიდობჰო0ების საგუშაგოებს, რა დროსაც ორი ადამიანი დაიღუპა. აღნიშნული გარდაცვალების პირველ ფატქს წარმოადგენს

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდსენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაახოებით 11:30 გამოაცხადა სამხედრო ოპერაციის დაწყება სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ. ილარიონოვმა ეს გადაწყვეტილება მიიჩნია სრულიად გამართლებულად.

ილარიონოვს ეთანხმება ცნობილი რუსი სამხედრო ჟურნალისტი პავლე ფელგენაუერი . მისი თქმით ომის დაწყება რუსეთის მხრიდან კარგად შენიღბული გეგმის

---

[49] **ნული** — სოფელი საქართველოში, თიღვის მუნიციპალიტეტში, ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი(ნული, არკნეთი).მდებარეობს მდინარე აღმოსავლეთ ფრონის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე. ზღვის დონიდან 840 მეტრი, ზნაურიდან 18 კილომეტრი, ცხინვალიდან 12 კმ.

განხორციელება იყო. რუსეთმა და მისმა სეპარატისტულმა მოკავშირეებმა აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა ერთობლივად დაგეგმების 2008 რლის ომის პროვოცირება, რომლის შედეგებიც საქართველომ არ გაითვალისწინა.

2008 წლის აგვისტომ წინ უსწრებდა 1990-იანი წლებიდან დაწყებული დაპირისპირებები. ამ პეიოდში რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა სამხრეთ ოსეთი და აფხაზითი საქართველოს წინააღმდეგ განეწყო. მაგრამ 2008 წელს ამჯერად უკვე რუსეთის სამხედრო ნაწილები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე. მათ ფაქტობრივად სურდათ საქართველოს სრული დემილიტარიზაცია და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პროდასავლური მთავრობის დამხობა. რუსეთმა ვალდიმერ პუტინის ხელმძღვანელობით საკუთარი განზრახვა კარგად დამალა არა მხოლოდ ქართველებისგან არამედ დასავლეთის მთავრობებისა და სადაზვერვო სამახურებისგანაც.

ფლეგენაუერმა [50]იმუშავა იმავე წყაროებზე დაყრდნობით, რომებიც ილარიონოვის ყურადღების ცენტრში იყო. მან შეაჯამა რუსი ჯარიკაცების ინეტრვიუები, რომლებიც სხვადასხვა რუსულს გაზეთებში გამოქვეყნდა, მათ შორის ყოველდღიურ ჟურნალ „ წითელ ვარსკვლავში“ რუსმა ჯარიკაცებმა წარმოადგინეს პირველი მტკიცებულებები, რომ მათ მანამდე გადაკვეთეს საქართველოს საზღვარი როკის გვირაბის გავლით, სანამ ქართული ჯარები ცხინვალის რეგიონში ოსურ პოზიციებს დაესხმებოდნენ თავს.

ფელენგაუერი ამტკიცებდა, რომ რუსეთის ქმედებები მიმართული იყოს ცხინვალის წინააღმდეგ. ამავდროულად როსეთის ოფიციალური პოზიცია აიგნორებს იმ ფაქტს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი და ფართომასშტაბიანი შეჭრა საჭიროებს მზადყოფნას რასაც დრო სჭირდება. მზადყოფნა მოიცავს რუსეთის ყველა შეიარაღებულ ძალებს, მათ შორის ჯარს,

[50] **დოქტორი პაველ ე. ფელგენგაუერი** დაიბადა 1951 წლის 6 დეკემბერს, არის მოსკოვის თავდაცვის ანალიტიკოსი და *ნოვაია გაზეტასმ*იმომხილველი და ჯეიმსთაუნის ფონდის არამატერიალური უფროსი მკვლევარი. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში უფროსი მეცნიერ თანამშრომელი იყო, საიდანაც მან მიიღო დოქტორი. დოქტორმა ფელგენგაუერმა გამოაქვეყნა ფართოდ რუსეთის საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა, სამხედრო დოქტრინა, იარაღის ვაჭრობა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი. ის რეგულარულად საუბრობს ადგილობრივ და საერთაშორისო მედიაში რუსეთის თავდაცვის საკითხებზე. დოქტორი Felgenhauer ასევე ყოველკვირეული წვლილი Jamestown ფონდის *Eurasia ყოველდღიური მონიტორი* .

საჰაერო და საზღვაო ძალებს. ფელენგაუერმა ამერიკულ კრიტიკასაც უპასუხა და განაცხადა, რომ : „ინტეგრირებულის არმიის მობილიზება და მათი გადაადგილება პიცის გამოძახება არაა, რომელსაც შეიძლება მთელი საათიც კი ელოდო.“ ლუგიკურია, რომ რუსეთის ინტეგრირებულმა არმაიმ ბევრად უფრო ადრე დაიწყო ომისთვის მზადება და საქართველოსკენ გადაადგილება.

ტალიავინის ანგარიში

ილაონოვის და ფელგეგნგაუერის მოსაზრებებისგან გასხვავებით ტალიავინი რუსეთ-საქართველოს ომის დაყებაში საქართველოს ადანაშალებს. როგორც ელჩმა ტალიავინმა მოხსენებაში განაცხადა : 2008 წლის 7-8 აგვისტოს ქართველებმა დაიწყეს საარტილერიო დარტყმები ცხინვალსა და მის შემოგარენზე, რის საპასხოდაც ომში ჩაერთვნენ რუსი და აფხაზი სამხედროები. ტალიავნი იმაზე აპელირებს, რომ როსეთმა სამხედრო ოპერაცია დაიწყო მას შემდეგ, რაც საქართველომ ცხინვალს შეუტია. რუსეთმა იგი ოსი მოსახლეობა გენოციდისგან დაიცვა. ოსებთან ერთად კი რუსეთის მოქალაქეებიც რომლებიც სამხრეთ ოსეთის რეგიონში ცხოვრობდნენ.

იმ შემთხვევაშიც კი საბრძოლო მოქმედები პირსველს ქართველოს რომ დაეწყო ამის სრლი სამართლებივი უფლება ჰქონდა, რადგან ეს ის საპასხო მოქმედება ოყი სეპარატისტების მიერ ქართულ სოფლებზე თავდასხმისა. ის ფაქტი რომ ქართველების მიერ მოხდა ოსების გენოციდი არ დასტურდება (რასაც ტალიავინი ამტკიცებდა.) ოფიციალური მონაცემებით დასტურდება, რომ დაიღუპა 162 ოსი მოქალაქე.

იულია ლატინინას შეფასება

იულია ლატინინა [51]კატეგორიულად ეწინააღმდეგება ტალიავნის მოხსენებას იმის შესახებ რომ კონფლიქტი საქართველომ დაიწყო. ლატინინას სრულყოფილი პასუხი ტალიავინის ანგარიშთან გამოქვეყნდა 2010 წლის 3 მაისს ვებ-გვერდზე EG.RU.

როგორც ტალიავინმა აღნიშნა, ომი დაიწყო საქართველომ, ლატინინამ კი პარალელი გაავლო საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ომთან როდესაც 1941 წლის ივლისში წითელმა არმიამ დაბომბა ფინეთის დასახლებები ომის გამოცხადების გარეშე. თუ ტალიავინის შეფასებას გავიზიარებთ გამოდის რომ ომს ის იწყებს ვინც აგრესორის ქმედებებს პასუხობ. როდესაც ოსები ქართულ სოფლებს უტევენ ეს ომი არ არის მაგრამ თუ ამას ქართველთა მხრიდან მოყვება საპასუხო ქმედებები ეს უკვე ომის დაწყებას გულისხმობს. თუ რუსული ტანკები თბილისს მიაღწევენ და ქართველები საპასუხოდ შეუტევდნენ მაშინ ომს დაიწყებდნენ. ამ ლოგიკით, თუ ქართველები საპასუხო ქმედებებს არ განახორციელებდნენ მაშინ ომიც არ იქნებოდა.

ტალიავინის ამგვარ განცხადებას ლატინინა იმით ხსნის რომ ტალიავინს ეშინია საერთაშორისო დიქტატორის ვლადიმერ პუტინის. ანდრეი ილარიონოვის მსგავსად, რომლის კვლევასაც პერიოდულად ციტირებდა ლატინინა სამხრეთ ოსეთის ვებ-

---

[51] **ულია ლატინინა** დაიბადა 1966წლის 16 ივნისის მოსკოვში. რუსი ჟურნალისტი და მწერალი; ფენტეზისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური დეტექტივის ჟანრების რომანების ავტორი. ჟურნალისტიკაში ცნობილია, როგორც პოლიტიკური მიმომხილველი, ეკონომიკური ანალიტიკოსი და აქტიური პოლემისტი; რადიოს „ეხო მოსკვი“ ერთ-ერთი გადაცემის წამყვანი.

ლატინინამ ჟურნალისტური მოღვაწეობა გაზეთში „იზვესტია“(1995-97) დაიწყო; შემდეგ მუშაობდა ჟურნალ „ექსპერტი“ (1997-98), გაზეთებში „სოვერშენნო სეკრეტნო“, „ნოვაია გაზეტა“ (2001-დან), „კომერსანტ“ (2006-დან) და სხვა. ის ასევე მუშაობდა რამდენიმე რუსულ ტელეარხზე: გადაცემებში „ვ დრუგოე ვრემია“ (პირველი არხი ორტ 2001-02), „იესტ’ მნენიე“ (ტვ ცენტრ 2002-3) და „ნედელია“ (რენ ტვ2003-04).

ლატინინას მიღებული აქვს საგამომძიებლო ჟურნალისტიკის ჯილდო კორიერე დელა სერასგან, მის მიერ მარია გრაცია კუტულიზე, იტალიელ ჟურნალისტზე, რომელიც ავღანეთში მოკლეს, მომზადებული მასალისთვის.

ამჟამად ლატინინა რადიო სადგურის „ეხო მოსკვი“ გადაცემის „კოდ დოსტუპა“ წამყვანია (2003-დან). 2008 წლის 8 დეკემბერს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ის თავისუფლების დამცველის პრემიით დააჯილდოვა.

გვერდებზე, აღმოჩნდა რომ რუსეთმა და მისმა მოკავშირეებმა დაიწყეს პირველმა სამხედრო მოქმედებები. დაახლოებით საღამოს 8 საათზე ქართული სოფელი ნული მთლიანად განადგურდა. რამოდენიმე საათში კი ცნობილი გახდა რომ ქართველი ფაშისტები მშვიდობიან სოფელ ხეთაგუროვოშო შევიდნენ.

ილარიანოვი მხარს უჭერს ლატინინას დასკვნებს ეხო-მოსკოვის რადიოსადგურ ,,ილარიონოვის" ინტერვიუში ლატინინას მსგავსად სამხრეთ ოსეთში ქართული სოფლების დაბომბვაზე მან დაწერა: ,,ავნისა და ნულის დასახლებების დაბომბვა ცხინვალის დაბომბვამდე ორი დღით ადრე მოხდა, აღნიშნული ორი დასახლება ფაქტობრივად გაანადგურეს ოსმა სეპარატისტებმა. ამ თავდასხმების დროს 6,7 აგვისტოს რამოდენიმე ქართველი დაიღუპა, მათ შორის ქართველი სამშვიდობოებიც". როგორც ილარიონოვმა აღნიშნა სოფელი ნულის მოსახლეობა დაახლოებით 2000 ადამიანს შედგენდა.

ტალიავინის მოხსენებისგან განსხვავებით ილარიონოვი ამტკიცებდა რომ რუისი სამშვიდობოები რომლებიც სამხრეთ ოსეთში იმყოფებოდნენ პირველი იყო ქართველ სამშვიდობოებზე თავდასხმა და არა პირიქით.,,ჩვენ გვაქვს შესაბამისი ინფორმაცია" - განაცხადა მან ინტერვიუში, რომ ქართულმა მხარემ გააკეთა განცხადება რუსეთთან დაკავშირებით, რომ არ აპირებს რუსეთის სამვიდობოებზე თავდასხმას". აღნიშნული განცხადება დასტურდება რუსეთის მხრიდანაც, კერძოდ გენერალი კულახმეტოვისგან. როგორც ვიცით იმ რუს სამშვიდობოებს რომლებიც პოსტებზე იმყოფებოდნენ არ დასხმიან თავს, არავინ დაღუპულა და დაშავებულა. ქართველმა სამხედროებმა რუსულ ჯარს ცეცხლი არ გაუხსნეს რადგან ნაბრძანები ჰქონდათ. 8 აგვოსტოს დაახლოებით 5:50 საათზე რუსმა სამხედროებმა ქართულ ჯარს ცეცხლი გაუხსნეს. საპასუხო შეტევა კი ქართველებმა დაახლოებით 6:20 წუთზე დაიწყეს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ წიგნი დაწერა რონალდ ასმუსმა [52]სახელწოდებით ,,პატარა ომი რომელმაც შეძრა მსოფლიო“. წიგნი დაწერილია ილარიანოვის კვლევაზე დაყრდნობით. ასმუსი ამტკიცებს, რომ 7 აგივსტოს დაახლოებით 1200 რუსი სამხედრო მოსამსახურე სამედიცინო და საკომუნიკაციო დანაყოფებთან ერთად უკვე იმყოფებოდა უკანონოდ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ამასთან ერთად 12 000 კარისკაცი მზად იყო საზღვარი გადაეკვეთა. მე-16 არმისს 135-ე და 693-ე ბრიგადის შენაერთები 22-ე სპეცდანიშნულების რაზმთან ერთად 2-დან 7 აგვისტომდე შუალედში უკვე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. მათთან ერთად იყო რამოდენიმე სატანკო ერთეული.

ანდრეი ილარიონოვი თავისი კვლევის შეჯამებისად აცხადებს რომ რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებდა ფაქტების გასაყალბებლად და თავისთვის სასარგებლო ინფორმაციის გავრცელებისთვის, თუმცა მათმა მცდელობამ არსებულ რეალობა ვერ გადაფარა. ნაპოვნიაა უზარმაზარი შეუსაბამობები, თაღლითობა და აშკარა ტყუილი. ძალიან ბევრი მტკიცებულებაა რომელიც უარყოფს იმ ფაქტს, რომ ომის პროვოცირებაში გადამწყვეტი როლი მიხეილ სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ ითამაშა.

პაველ ფენგელაუერიც მსგავს დასკვნამდე მივიდა ,,რუსეთის სამხედრო შეჭრა საქართველოს ტერიტორიაზე გარდაუვალი იყო იმის მიუხედავად თუ რას მოიმოქმედებდა ქართველი ხალხი ოსი სეპარატისტების ქმედებების საწინააღმდეგოდ.

ვფიქრობ ნაშრომში წარმოდგენილი მასალებიდან ყველაზე მეტად სანდო რეალური და ობიექტური შეფასება „ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის საერთაშორისო კვლევის საბჭო“-მ(ICCEES) და მისმა ჟურნალისტებმა წარმოადგინეს იქიდან გამომდინარე რომ:

[52] **რონალდ დიტრიხ ასმუსი** დაიბადა 1957 წლის 29 ივნისსს, იყო აშშ-ს დიპლომატი და პოლიტოლოგი.

1. სამივე მადგანი არგუმენტირებულად ადანაშაულებს საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებას ომის დაწყებაში.
2. გაანალიზებულია ომის მიზეზები მიზნები და შედეგები, ასევე ომის მიმდიარეობა ქრონოლოგიურადაა წარმოდგენილი საათებისა და წუთების მიხედვით.
3. ყველაზე მნიშვნელოვანი ის ფაქტორია, რომ სამივე ჟურნალისტი რუსია, აქედან იალრიონოვი პუტინის ყოფილი მრჩეველია, ხოლო ფელგენგაუერი რუსეთის ფედერაციის თავდაცვის ანალიტიკოსი, სამხედრო ჟურნალისტი ამიტომ ლოგიკურია რომ მათ ზედმიწევნით კარგად იციან რუსეთის პოზიცია, მიზი მიზნები და ამ მიზნებამდე მისასვლელად დასახული გზები.
4. ილარიონოვი არგუმეტები აანონსებს მოსალოდნელ ომს 2008 წლის აგავიტომდე. (ომის დაწყებამდე)
5. აღნიშნულ ჟურნალისტებს არანაირი მიზეზი არ აქვთ ტყუილუბტალოდ დაადანაშაულონ საკუთარი ქვეყნის ხელისუფლება, პრიქით მათთვის ეს სარიკოცაა რაგან სააშკარაოზე გამოაქვთ რუსეთის მიერ საქართველოს პირდაპირი ანექსია. რის გამოც შესაძლოა საკმაოდ დიდი პრობლემები შეექმნათ. სწორედ შიშის ფაქტორით ხსნიან ისინი ტალიავინის განხადებას, რომელის მიხედვითაც ომი საქართველომ დაიწყო.

ფრნაფული ვებ-გვერდი less cahiersdelorient [53]

გამოქვეყნდა 01.11. 2016 წელს

[53] https://www.cairn.info **Cairn.info** არის ფრანგული ენის ვებ-გვერდი, რომელიც დაფუძნდა 2005 წელს. შეიცავს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში არსებულ სამეცნიერო მასალებს. ძირითადი კვლევითი სფეროებია: კომუნიკაციები, ეკონომიკა, განათლება, გეოგრაფია, ისტორია, ლიტერატურა, ლინგვისტიკა, ფილოსოფია, პოლიტიკური მეცნიერება, სამართალი, ფსიქოლოგია, სოციოლოგია და კულტურული კვლევები. საიტი უზრუნველყოფს პუბლიკაციების თავისუფალ ხელმისაწვდომობას.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომს ჰქონდა მოულოდნელობის ეფექტი და მიიღო გლობალური ხასიათი. ყურადღების ცენტრში მოექცა მანამდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი სამხრეთ-ოსეთი და აფხაზეთი. ამ უკანასკნელმა ომის მსვლელობაში მხოლოდ შეზღუდული როლი ითამაშა, თუმცა მიეცა უფლება მოეპოვებინა საერთაშორისო აღიარება. აფხაზური და ოსური კონფლიქტები გარკვეული დროის განმავლობაში მწიფდებოდა. პირველი კონფლიქტის შემდეგ ისინი საერთაშორისო ექსპერტების მიერ იყო ,,გაყინული" 2008 წლის აგვისტომდე. კავკასია ყოველთვის ხასიათდებოდა ტრადიციებით და ღირებულებებით, მიწის, ისტორიის, ოჯახის მნიშვნელობებით. ყოველივე ამან მისცა საშუალება რათა გადარჩენილიყვნენ და განვითარებულიყვნენ. იმისათვის რომ გავიაზროთ 2008 წლის კონფლიქტის მიზეზები აუცილებელია იმის გარკვევა თუ რა მოხდა წინა პერიოდში, კერძოდ, ეს ყველაფერი 1990-ანი წლებიდან იწყება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოიკვეთა ახალი შესაძლებლობები, კომუნიზმის დანგრევის შემდეგ საბჭოთა კავშირში შემავალმა ქვეყნებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა. იგივეს ცდილობდნენ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რომლებსაც ავტონომია ჰქონდათ საქართველოს ფარგლებში. ორივე შემთხვევაში სეპარატისტებს აშკარად უჭერდა მხარს რუსეთი, რომელიც შუამავლის როლს ასრულებდა მოლაპარაკებებში, დროებით დასრულებულიყო კონფლიქტი და აქ განთავსებულნიყვნენ რუსი სამშვიდობოები. რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახელობას რუსული პასპორტები გადასცა, ასევე დაეხმარა ფინანსურად.

less cahiersdelorient- ისთვის ცნობილია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის წინაპირობები თუმცა ომს მაინც მოულოდნელობეის ეფექტით ახასიათებს, მაშინ როდესაც აშშ და მთელი ევროპა ინფორმირებულია და ომის დაწყებას მხოლოდ დროის საკითხს წარმოადგენს. იმის მიუხედავად რომ სტატია ომის დასრულებიდან საკმაოდ გვაიან გამოქვეყნდა ომის შესახებ მწირი ინფორმაციაა წარმოდგენილი. არაა საუბარი მის დაწყებაზე, მიმდინარეობასა და განსახუთრებით შედეგებზე რომელბიც უკვე მთელი მსოფლიოსთვისაა ცმობილი.

Turksam[54]

გამოქვეყნდა 2008 წლის 9 აგვისტოს

ქართულ-ოსური დაპირისპირება რუსეთ-საქართველოს ომში გადიზარდა

ქათველთა თავდასხმის შემდეგ ოსმა სეპარატისტებმა ოფიციალური თხოვნით მიმართეს რუსეთს დასახმარებლად, რათა დაემყარებინა წესრიგი რეგიონში. იმის მიუხედავად, რომ არ გამოცხადებულა საომარი მდგომარეობა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა დოკუმნტს, რომლის მიხედვითაც ქვეყანა იქყებდა საომარ მოქმედებებს. აღნიშნული დოკუმენტი დასამტკიცებლად პარლამენტს გადაეცა რომელმაც არ გადაწყვეტილების მიღება არ დააყოვნა. აღნიშნული გააპროტესტა რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის უფროსმა, რადგან მისივე თქმით საკუთარი მოქალაქეების დაცვა არ გულისხმობს საომარი მდგომარეობის გამოცხადებას.

როგორც turksam-მმა განაცხადა კონფლიქტის ზონაში დანაკარგები გაცილებით მეტია იმასთან შედარებით, ვიდრე პრესაში აისახა. შეტაკებები გასცდა საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ფარგლებს. Turksam-ი ომის დაწყების დღიდანვე აქტიურადაა ჩართული მის მიმდინარეობასა და გაშუქებაში. მათი თქმით საქართველომ საწყის ეტაპზე ადვილად შეძლო სამხრეთ ოსეთზე კონტროლის დამყარება, თუმცა საქართველოს არ აქვს ძალა რუსეთს წინააღმდეგოაბა გაუწიოს. ამას ემატებოდა ჩრდილო კავკასიელ ხალხთა ნაწილი რომელთაგანაც ჩამოყალიბდა მოხლისეთა რაზმები. ერთის მხრივ რუსეთი ცდილობს სამხრეთ ოსეთის მოწყვეტას საქართველოსგან და მეორეს მხრივ საქართცელოს სახედრო და სამრეწველო ინფრასტუქრურის განადგურებას.

ძალიან საეჭვოა ის ფაქტი, რომ საქარველომ ვერ გათვალა ის შედეგები რაც სამხერთ ოსეთზე შეიარაღებულ თავდასხმას მოჰყვებოდა. ნაკლებად სავარაუდოა ისიც, რომ

[54] http://turksam.org/ **საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული კვლევების ცენტრი** დაარსდა 2004 წელს. Turksam მიუკერძოებელი საინფორმაციო ცენტრია და საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს .სინან ოღანი ორგანიზაციის თავმჯდომარეა , აქვეყნებს თავის საქმიანობას თურქულ , ინგლისურ და რუსულ ენებზე და ოფიციალურ ვებგვერდებს თავისი ვებსაიტისთვის ნაშრომებს სთავაზობს.

საქართველომ ვერ გაითვალისწინა რუსეთის ომში არ ჩაურებლობა. ეს არაა ლოგიკური. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ამ ომისთვის 2003 წლიდან ემზადებოდა. აღნიშნულიდან გმომდინარე იბადება კითხვა: რა მიზანი ჰქონდა საქართველოს? ამ კითხვაზე გვაქვს შემდეგი პასუხები:

1. რუსეთი საეთაშორისო მასშტაბით გახდება აგრესორი ქვეყანა.
2. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველომ იცი მარტო რუსეთს ვერ გაუმკლავდება დახმარების იმედი აქვს ნატოსა და აშშ-გან.
3. დაჩქარდება საქარტველოს ნატოში შესვლის პროცესი.
4. აშშ-ს ყველაზე დიდ კონკურენტ ქვეყანაში დაგეგმილია ოლიმპიური თამაშების გასხსნა.
5. იმ შემთვევაში, როდესაც რუსეთის ყურადღება კავკასიის რეგიონში იქნება კონცენტრირებული ისრაელმა და აშშ-მ შესაძლოა ირანი დაამარცხონ.

რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით განსხვავებული იყო ამიერკავკასიის ქვეყნების პოზიციები. სომხეთი მხარს უჭერდა რუსეთს, ხოლო აზერბაიჯანი საქართველოს. აზერბაიჯანი, რომელსაც გააჩნდა სომხეთისგან ოკუპირებული ტერიტორია, მთიანი ყარაბაღი, საქართველოს მსგავს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამიტომ იზიარებდა საქართველოს ტკივილს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სასარგებლოდ გააკეთა განცხადებები. ასევე, პროქართული კურსი ჰქონდათ უკრაინას, ბალტიისპირეთის ქვეყნებს, პოლონეთს, ევროკავშირს, ნატოსა და შეერთებულ შტატებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. თურქეთს შედარებით ნეიტრალური მხარე უჭირავს ამ კონფლიქტში. თურქეთისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს იქიდან გამომდინარე რომ არის სატრანზიტო ქვეყანა, მასზე გადის რამოდენიმე ძირითადი მილსადენი, კერძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, შაჰ-დენიზი-ერზრუმის, ყარსი-თბილისი-ბაქოს მილსადენები. არსებობს იმის საფრთხე, რომ დაბომბვის შედეგად ეს მილსადენები დაზიანდეს, რა თურქეთს აშფოთებს.

საქართველოს აქვს კონტროლი სამხრეთ ოსეთზე, მაგრამ შეინარჩუნებს კი მას?

2008 წლის 8 აგვისტო. დიდი ხნის დაგეგმილი ომი დაიწყო. ქართულმა ჯარმა სამხრეთ-ოსეთზე შეტევა დაიწყო, ოპერაცია თანდათანობით გაფართოვდა, რასაც მოჰყვა რუსეთის ომში ჩარევა. სინან ოღანის [55]თქმით საქართველომ დიდი ხნის წინ თქვა, რომ ეს ნაბიჯი უნდა გადაგმულიყო. მათი თქმით ომი შეიძლება დაიწყოს ნებისმიერ დროს. ამ ომისთვის კი შეირჩა ყველაზე კარგი დრო და გარემო 08.08.2008 წელი. მსოფლიოსა და რუსეთის ყურადღება გდატანილი იყო ოლიმპიურ თამაშებზე პეკინში, თვითონ პრემიერ-მინისტრი პუტინიც პეკინში იმყოფებოდა. ასეთ სიტუაციაში დაიწყო საქართველომ სამხრეთ ოსეთზე თავდასხმა. სამხრეთ ოსეთის ოპერაციასთან დაკავშირებით ინფორმირებულია დასავლეთი. ბოლო წლებში აშშ-ს მხარდაჭერით საქართველომ სხვადასხვა სამხედრო წვრთნები ჩაატარა. აღნიშნულ სამხედრო წვრთნები აქტიურად იყო ჩართული აშშ-ს სამხედრო მდივანი კონდოლიზა რაისი, რომელმაც ყველაფერი ადგილზე დაათვარიელა. საქართველოს მიერ სამხრეთ-ოსეთში შეჭრა და მისი შეერთება რუსეთისთვის სერიოზულ მარცხად ჩაითვლება. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთს, რომლებმაც საქართველო დატოვეს 1992 წელს, რუსეთი მფარველობდა. ორივე რესპუბლიკის მოსახლეობის უმეტესობას აქვს რუსეთის ფედერაციის პასპორტი. ამ მიზეზით გრძელდება ომი რუსეთსა და საქართველოს შორის, რომელიც ბევრად ადრე დაიწყო.

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა ოფიციალურად მოუწოდა რუსეთის დეფერაცას დახმარებისთვის. მართალია, რომ რუსეთის პრემიერ მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა მათი თხოვნა გაითვალისწინა და გააფრთხილა საქართველო რომ მათ მიერ სამხრეთ ოსეთზე შეტევას მოყვებოდა კონკრეტული ქმედითი ნაბიჭები. პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სასწრაფოდ მოიწვია უშიშროების საბჭო. პარალელურად სამხრეთ ოსეთში იწყევა ხალხის ევაკუაცია, იმათი ვინც თავდასხმის საფრთხის წინაშეა, განსაკუთრებით ქალები, მოხუცები და ბავშვები გადაყავთ

[55]სინან ოღან ი - დაიბადა1 967 წლის 1 სექტემბერს. თურქი პოლიტიკოსი მემარჯვენე ნაციონალისტური მოძრაობის პარტიიდან, წარმოშობით აზერბაიჯანიდანაა.

მეზობელ ჩრდილოეთ ოსეთში. საქართველო სამხრეთ ოსეთზე თავდასხმას აპირებდა, ეს კი არ შეიძლებოდა რუსეთს არ სცოდნოდა, რომელსაც აქვს ძლიერი სამხედრო ძალა რეგიონში და აქტურად მუშაობს რუსული დაზვერვა. ამ შემთხვევაში შეიძლება გავნიხილოთ ის ვარიანტიც, რომ ეს იყო რუსეთსა და აშშ-ს შეთანხმებული მოქმედება საქართველოსგან ფარულად, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია აფხაზეთი დარჩეს რუსეთში. 2003 წელს, როდესაც საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ, ხელისუფლებაში მოვიდა მიხეილ სააკაშვილი, ის მოსახლეობას დაპირდა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. როდესაც საქართველომ საბჭოთა კავშირისგან მოიპოვა დამოუკიდებლობა სამ რესპუბლიკას ჰქონდა ავტონომია. მათგან ორი არის აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და მესამეა აჭარა, სადაც დიდი იყო თურქეთის გავლენა. სააკაშვილმა სწორედ აქედან დაიწყო ქვეყნის გაერთიანება და პირველი პრობლემა წარმატებით აღმოფხვრა კიდევაც, გაუქმდა აჭარის ავტონომია და შეუერთდა საქართველოს. ახლა ჯერი სამხრეთ ოსეთზეა, ეს პროცესი კი საქართველოსთვის წარმატებულად მიმდინარეობს ამ ეტაპზე, მაგრამ საკმაოდ ძნელი იქნება საქართველოსთვის ამ წინსვლის შენარჩუნება. თურქეთი მზადყოფნას გამოთქვამს, შეასრულოს მედიატორის როლი და დაეხმაროს მხარეებს ურთიერთშეთანხმებაში თუ ამის საჭიროება იქნება.

სამხრეთ ოსეთი

1990 წლის სექტემბერში სამხრეთ ოსეთი დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცადდა, 1990 წლის 20 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ამავე წლის დეკემბერში, გაუქმდა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ავტონომია, ეს გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა გორბაჩოვმა მიიღო. სამხრეთ ოსეთშო დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები. საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იყო გამსახურდიას პერიოდში, რა დროსაც დაიწყო სამხედრო კონფლიქტი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის. 1991 წლის 1 დეკემბერს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და საქმეში ჩაერთო ეროვნული გვარდია. ედუარდ შევარდნაძის

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გამოითქვა ნაბიჯები გადაიდგა ორ მხარეს შორის მოლაპარაკებებისკენ. 1992 წლის 22 ივნისს მოხდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის და 1984 წლის 4 ივნისიდან იწყება სამხედრი ძალების განლაგება რეგიონში. ომის შედეგად ათასობით ადამიანი დაიჭრა და ათობით ათაასი ადამიანი გახდა დევნილი, დაიღუპა 1000-დან 2000-მდე მცხოვრები. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა, რომელიც დაახლოებით 80 ათასია, არ აღიარებს იფიციალური თბილისის უფლებამოსილებას 1991 წლიდან, მას შემდეგ რაც საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

Turksam-ის პოზოცოა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვტოს ომზე რადიკალურად განსხვავდე ამერიკული და ევროპული მედიის პოზოციისგან. იმის მიუხედავად რომ თურქეთის პოზოცია ნეიტრალურია მათ დეტალურად აქვთ განხილული კონფლიქტის წინაპირობები და მიზეზები. ევროპული და ამერიკული მედიისგან განსხვავებით თურქულ გამოცემას კარგად აქვს ჩამოყალიბებული არგუმენტები ომის შესახებ. კერძოდ საქართველო იქნებოდა ინფორმირებული იმის შესახებ რომ სამხრეთ ოსეთზე თავდასხმას აუცილებლად მოჰყვებოდა რუსეთის საპასუხო ქმედები. აქდან გამომდინარე ისმის კითხვები : რატომ დაიწყო საქართველომ ომი რუსეთთან თუ იცოდა რომ მას ვერ დაამარცხებდა? ვისი დახმარების იმედი ჰქონდა? რა შედეგს მიაღწევდა? აქ ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ აქრიურად მუშაობდა რუსეთის დაზვერვა საქარტველოსი და მიმდინარე მოვლენენის შესახებ ინფორმირებულები იქნებოდნენ.

Turksam- ის სტატია კიდევ იმითაა საინტერესო რომ ისინი განიხილავენ რუსეთ- ამერიკის ფარული ურთიერშეთანხმების არსებობას საქართველოს წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი დარჩებოდა რუსეთის სემადგენლობაში. ეს მოსაზრება საკმაოდ ლოგიკურია, რადან დღეისათვის აფხაზეთი ფაქტიურად რუსეთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, აშშ-ს კი საქართველოს დასახმარებლად

რაიმე კონკრეტული ნაბიჯები არ გადაუდგამს. პატარა საქაღტველოს კი დიდ რუსეთთან ომის „დასაწყებად“ ვინმეს იმედი უნდა ჰქონოდა.

მნიშვენოლვანია ასვე სტატიის გამოქვეყნების თარიღი, 9 აგვისტო ომის დაწყების მეორე დღე. როდესახ სხვა გამოცემები თავს იკავებე კონკრეტული შედეგების დაანონსებისა და კრიტიკისაგან.

2008 წლის რუსეთ-საქათველოს ომის კვლევისას აევე მნიშვნელოვანია საერთაშოისო სასამათლოს მიერ ჩატარებული კვლევა და მისი შედეგები.

ICC სართაშორისო სასამართლო [56]

ეს ICC-ის პირველი გამოძიებაა აფრიკის საზღვრებს გარეთ კონფლიქტებში. გამოძიება ეხება სამხრეთ ოსეთში, სეპარატისტულ რეგიონში 2008 წელს მომხდარ კონფლიქტს. ICC-ის მიაჩნია რომ ჩადენილია დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, ომის უკანონო ქმედებების სახით. 2015 წლის დეკემბერში სასამართლოში 6000-ზე მეი სავარაუდო მსხვერპლი გამოცხადდა. ამავე წელს სასამართლოს პროკურორმა ფატუ ბესუდამ[57] განაცხადა რომ მას ჰქონდა მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ორივე მხარეს დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა, რაც ომის გამოხატულებაა. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ სამხრეთ ოსეთის ძალებმა ფიზიკურად გაანადგურეს ეთნიკურად ქართველი

[56] https://www.icc-cpi.int/ **სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო,** მისი შტაბ ბინა მდებარეობს ნიდერლანდების ქალაქ ჰააგაში. ICC იკვლევს საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებებს, როგორიცაა: კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშულები, გენოციდი, ომის დაწყება და აგრესიის გამოხატვა. მას შეუძლია თავისი იურისდიქცია განახორციელოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც როდესაც ეროვნულ სასამართლოებს არ სურთ ან ვერ ახერხებენ დამნაშავეთა დადგენას. ICC- მ ფუნქციონირება დაიწყო 2002 წლის 1 ივლისს .

[57] ფატუ ბესუდა **Fatou Bom Bensouda** (დაბადებული 31 იანვარს, 1961) არის გამბიის იურისტი და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროკურორი.ის არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარ პროკურორი 2012 წლის ივნისიდან.

მშვიდონიანი მოსახლეობა. ICC-ის განცხადებით ჩადენილია დანაშაულის შემდეგი სახეები :

1. კაცობრიობის წინააღმდეგ ჩდენილი დანაშაული, როგორიცაა მკვლელობა, მოსახლეობის იძულებით გადაადგილება და დევნა.
2. ომის დანაშაულები, როგორიცაა სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ თავდასხმები, განზრახ მკვლელობა, გამიზნული თავდასხმები სამშვიდობოების წინააღმდეგ, ქონების განადგურება და ძარცვა.

განცხადებაში ნათქვამია, რომ დანაშაული მოხდა 2008 წლის 1 ივლისსა და 10 ოქტომბრის შუალედში.

სამხრეთ ოსეთი ოფიციალურად საქართველოს შემადგენელი ნაწილია და გამოყოფილია ჩრდილოეთ ოსეთის რეგიონიდან საერთაშორისო საზღვარზე. ის დასახლებულია ძირითადად ოსი მოსახლეობით, რომლებიც ეთნიკურად და ლინგვისტურად განსხვავდებიან რეგიონის სხვა მცხოვრებლებისგან. კონფლიქტის შედეგად ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა იძულებით გადაადგილდა სამხრეთ ოსეთიდან.

საქართველო და სამხრეთ ოსეთი მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო. 1917 წელს კომუნისტური რევოლუციის შემდეგ საქართველო დამოუკიდებელი გახდა, მაგრამ 1921 წელს საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილად გამოცხადდა. 2008 წლის შემდეგ მოსკოვმა სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა და მასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა, რასაც საქართველო განიხილავს როგორც ეფექტურ ანექსიას.

ომი დაიწყო პრო რუსი სეპარატისტებისა და ქართული ძალების შეტაკებების შედეგად, ეს უკანასკნელნი კი ცდილობდნენ სამხრეთ ოსეთის უკან დაბრუნებას. მაგრამ რუსულმა ჯარებმა სწრაფად დაიკავეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორია და გადაადგილება დაიწყეს საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში და თბილისთან ახლოს შეჩერდნენ.

ომის შედეგად დაახლოებით 1000 ადამიანი დაიღუპა, ხოლო სადავო ტერიტორიებზე მცხოვრები ათობით ათასი ქართველი იძულებული გახდა დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი სახლები. პროკურორების მტკიცებულებით 18 500-ზე მეტი ადამიანი იძულებით გადაადგილდა სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მიერ. ხოლო კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა 75%-ით შემცირდა.

ჰაგის სასამართლოს[58] გადაწყვეტილების მიხედვით ანგარიშში კორექტირება მოხდა 2016 წლის 28 იანვარს.,რადგან არასწორად იყო მითითებული, თითქოსდა სამხრეთ ოსეთი რუსეთის ტერიტორიის შემადგენლობაში შედიოდა საბჭოთა კავშირში გაერთიანებამდე, 1921 წელს.

ICC კონკეტულად არ ასახელებს თუ რომელმა მხარებ დაიწყო ომი, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ქართვეები ცდილობდნენ სამხრეთ ოსეთის უკან დაბრუნებას. ამით ადასტურებს, რომ ცხინვალი საქართველოს შეადგენელი ნაწილია, სხვა შემთხვევაში შეეძლოთ ეთქვათ საქართველო ისაკუთრებს ან ვინმეს ართმევსო. ICC ახევე ხაზგასმით აღნიშნავს ქართველთა ეთნიკურ წმენდას, მათი მონაცმებით სამხრეთ ოსეთში ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილი 75% ით შემცირდა (აქ გაერთიანებულია როგორც იძულებით გადაადგიულებული მოსახლეობა ასევე დაღუპულებიც)

დასკვნა

ამრიგად, წარმოებული კვლევა აჩვენებს, რომ უცხოურ მედიაში 2008 წლის რუსეთ-საქათველოს ომზე დიდი გავლენა აქვს ევროკავშირის კომისიის კვლევას, რადგან მედია საშუალებათა დიდ ნაწილი მისი დასკვნის საფუძველზე აფასებს ომს. რომელსაც

[58] **ჰაგის საერთაშორისო სასამართლო** - გაეროს მთავარი სასამართლო ორგანო. შეიქმნა 1945 წელს. მისი მიზანია სახელმწიფოთა შორის დავების გადაწყვეტა მათი თანხმობით და იძლევა კონსულტაციებს და დასკვნებს სამართლებრივ საკითხებზე. სასამართლო ფუნქციონირებს წესდების საფუძველზე, რომელიც გაეროს წესდების განუყოფელი ნაწილია. სასამართლოს ადგილსამყოფელია ქალაქი ჰაგა (ნიდერლანდები).

შვეიცარიელი დიპლომატი ჰეიდი ტალიავინი ხელმძღვანელობდა. ამგვარი გავლენა გასაკვირი არაა, რადგან ევროკავშირს საკმაოდ დიდი ავტორიტეტი აქვს მსოფლიოს მასშტაბით და მისი მკვლევართა გუნდი დაკომპლექტებულია სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტებისგან.

ამავდროულად არის ისეთი გამოცემებიც, რომლებიც არ ითვალისწინებენ ევროკავშირის ანგარიშს (როგორებიცაა Turksam და ICCEES ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის საერთაშორისო კვლევის საბჭო) და მის საწინააღმდეგოს ამტკიცებენ არგუმენტებით. იმის მიუხედავად, რომ ტალიავინი რუსეთს ადანაშაულებს ომის პროვოცორებაში, მის დაწყებაში დამნაშავედ საქართველოს მიიჩნევს, რაც, ვფიქრობ, ლოგიკას მოკლებულია. პირველ რიგში იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოს რუსეთთან ომის მოგების შანსიც არ ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში რატომ დაიწყებდა ომს?! ვეთანხმები ანდრეი ილარიონოვის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ევროკავშირი და მისი კომისია, რომელმაც 2008 წლის ომის გამოიკვლია, მოერიდა რუსეთის გაღიზიანებას, დამნაშვედ კი საქართველო წარმოაჩინა. მიზეზი აქაც მარტივია. რუსეთს დიდი ძალა და გავლენა აქვს მსოფლიო მასშტაბით, საქართველო კი პატარა ქვეყანაა, ამიტომ უფრო მარტივია მისი დადანაშაულება. სხვა შემთხვევაში, ევროკავშირისა და ნატოსგან რუსეთის აგრესიას მოჰყვებოდა საპასუხო ქმედითი ნაბიჯები და არა სიტყვიერი მხარდაჭერა ე.წ „შეშფოთების პოლიტიკა," რაც საქართველსოთვის რეალური და საურველი შედეგის მომტანი არაა.

დღევანდელ ცხოვრებაში მედიას დიდი მნიშვენელობა ენიჭება ინფორმაციის გავრცელების კუთხით. მასზეა დამოკიდებული თუ რომელ სიმართლეს ეტყვის საკუთარ მოსახლეობასა და რა ფორმით. ასეა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დაწყების, მიზნების, მიზეზებისა და შედეგების შესახებ. ზემოთ ნახსენები რამდენიმე მედიასაშუალება როგორც საკუთარი ქვეყნების, ისე უცხოელ მკითხევლსა და მაყურებელს აწვდის მათთვის სასურველ სიმართლეს, რომელიც რელურად სიცრუეა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ამერიკის ხმა

ICC საეთაშორისო სასამართლო

ალექს ლუჰნი

სამხრეთ ოსეთი დღეს

ევრონიუსი

როიტერი

ICCEES ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საერთასორისო კვლევების საბჭო

ევროპის რადიო

Less Cahiersdelorient

Deuchland Funk

Zeit

Hintergrund

Turksam

Lexpress